



ევროკავშირი
საქართველოსთვის



საპარტავლოს
აბალგარდა
ერისძოტა
ასოშიაშია



2022 - 2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების მონიტორინგის დოკუმენტი

შრომით და გარემოსდაცვით უფლებებთან დაკავშირებით

2022 – 2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების მონიტორინგის დოკუმენტი

შრომით და გარემოსდაცვით უფლებებთან დაკავშირებით

**თბილისი
2023**

ანგარიშის ხელმძღვანელი: თამარ ონიანი

ავტორები: ნინო ცუხიშვილი
ანა ბერიძე

რედაქტირება და ყდის დიზაინი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და, შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

აიწყო და დაკაბადონდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2023, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

I. შეჯამება	5
II. შესავალი	8
III. ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესის შეფასება	10
IV. სოციალური უფლებების დაცვის გაძლიერების მონიტორინგი	17
1. შრომის უფლება	17
1.1. შესავალი	17
1.2. შრომის უფლებების დაცვის სფეროში სტრატეგიის დაგეგმვისა და განსაზღვრის შეფასება	17
1.3. შრომის უფლების დაცვის გაძლიერების მიზნით ჩამოყალიბებული ამოცანების შეფასება	20
(1) შრომის კანონმდებლობაზე არსებული საზედამხედველო მექანიზმების განვითარება და გაძლიერება	20
(2) შრომის კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელებისთვის შესაფერისი პირობების შექმნა და შრომის ინსპექციის სამსახურის გაძლიერება	22
(3) შრომითი მედიაციის სისტემის გაძლიერება; სოციალური დიალოგის ეფექტიანი და განგრძობადი განვითარება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე	24
1.4. შრომის უფლებების დაცვის სფეროში სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება	26
(1) შრომის კანონმდებლობაზე არსებული საზედამხედველო მექანიზმების განვითარება და გაძლიერება	27
(2) შრომის კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელებისთვის შესაფერისი პირობების შექმნა და შრომის ინსპექციის სამსახურის გაძლიერება	31
2. გარემოს დაცვის უფლება	35
2.1. შესავალი	35
2.2. გარემოს დაცვის უფლების დაცვის სფეროში სტრატეგიის დაგეგმვისა და განსაზღვრის შეფასება	35
2.3. გარემოს დაცვის უფლების რეალიზების გაძლიერების მიზნით ჩამოყალიბებული ამოცანების შეფასება	38
(1) საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და განხორციელების უზრუნველყოფა, მათ შორის საერთაშორისო გარემოსდაცვითი ნორმებისა და სტანდარტების დანერგვა	38

(2) გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ფართო საზოგადოების დროულად წვდომის უზრუნველყოფა; გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესის საჯაროობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული პირების მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესება	41
(3) სუფთა ჰაერსა და ხარისხიან სასმელ წყალზე წვდომის მუდმივად გაუმჯობესება	43
(4) ნარჩენების მართვა ადამიანის ცხოვრებისთვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად	45
(5) გარემოსდაცვით სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად	46
(6) გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	48
2.4. გარემოს დაცვის უფლების რეალიზების სფეროში სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება	50
(1) საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და განხორციელების უზრუნველყოფა, მათ შორის საერთაშორისო გარემოსდაცვითი ნორმებისა და სტანდარტების დანერგვა	50
(2) გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ფართო საზოგადოების დროულად წვდომის უზრუნველყოფა; გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესის საჯაროობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული პირების მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესება	53
(3) სუფთა ჰაერსა და ხარისხიან სასმელ წყალზე წვდომის მუდმივად გაუმჯობესება	56
(4) ნარჩენების მართვა ადამიანის ცხოვრებისთვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად	59
(5) გარემოსდაცვით სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად	60
(6) გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	61
V. დასკვნა და რეკომენდაციები	63
VI. დანართები	66

I. შეჯამება

2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტის მონიტორინგი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ა) სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის შეფასება; ბ) სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტში შრომითი უფლებების დაცვის მიზნით ჩამოყალიბებული ამოცანების შეფასება და მათი იმპლემენტაციის მონიტორინგი; გ) სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტში გარემოს დაცვის უფლების რეალიზების გაძლიერების მიზნით ჩამოყალიბებული ამოცანების შეფასება და მათი იმპლემენტაციის მონიტორინგი.

საიას მიერ ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტის მონიტორინგის ძირითადი მიგნებები:

ა) ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტის შემუშავების პროცესის შეფასება

- საქართველოს მთავრობის მიერ ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესი არ აკმაყოფილებდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით განსაზღვრულ პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების სტანდარტებს, განსაკუთრებით, გარე დაინტერესებული მხარეების მონაწილეობისა და საჯარო განხილვების ნაწილში;
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას არ გამოუქვეყნებია ადამიანის უფლებათა მდგომარეობის სიტუაციური ანალიზის დოკუმენტი, რომელსაც დაეფუძნა სტრატეგიის დოკუმენტი და სტრატეგიული მიმართულებები;
- ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში არ არის მითითებული, რამდენად იყო სტრატეგიის შემუშავების პროცესში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, გენდერული და სოციალური ინკლუზიის პერსპექტივები გათვალისწინებული;
- ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი საჭიროებს გაუმჯობესებას შემდეგი მიმართულებებით: ა) სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა; ბ) სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტის კომენტარების წარსადგენად გონივრული ვადის განსაზღვრა; გ) სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტის საჯარო განხილვა; დ) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წარდგენილი მოსაზრებების მაქსიმალურად გათვალისწინება.

ბ) ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტში შრომითი უფლებების დაცვის მიზნით ჩამოყალიბებული ამოცანებისა და აქტივობების შეფასება

- სტრატეგიის დოკუმენტში ნათლად არ არის წარმოდგენილი, განახორციელა თუ არა საქართველოს მთავრობამ შრომითი უფლებების დაცვის სფეროში არსებული პრობლემების სიტუაციური ანალიზი, შეისწავლა თუ არა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების რეკომენდაციები და გაიარა თუ

არა კონსულტაციები რელევანტურ სახელმწიფო უწყებებსა (შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური) და გარე დაინტერესებულ მხარეებთან;

- ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის მიერ შრომითი უფლებების დაცვის გაძლიერების მიმართულებით შემოთავაზებული ამოცანები ნაწილობრივ ასახავს ქვეყანაში არსებულ საჭიროებებს, მათ შორის: ა) შრომის კანონმდებლობაზე ზედამხედველობის მექანიზმების გაძლიერება; ბ) შრომის მედიაციის სისტემის გაძლიერება; გ) შრომის კანონმდებლობის განხორციელებისთვის ეფექტიანი პირობების შექმნა და შრომის ინსპექციის გაძლიერება. თუმცა, ეს ამოცანები ძალიან ზოგადი სახით არის ჩამოყალიბებული, რაც ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა სამოქმედო გეგმაში კონკრეტული აქტივობების ჩამოყალიბებისა და ამოცანის მიღწევის შედეგების შეფასების კუთხით;
- ადამიანის უფლებათა სტრატეგიაში შრომითი უფლებების დაცვის გაძლიერების მიმართულებით ჩამოყალიბებული ამოცანები არ ითვალისწინებს სამართლებრივი რეგულირების გაუმჯობესების საჭიროებას, რადგან მიუხედავად 2020 წელს განხორციელებული შრომის კოდექსის რეფორმისა, მნიშვნელოვანი საკითხების ნაწილი კვლავ მოუწესრიგებელი დარჩა;
- ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიაში შრომითი უფლებების დაცვის გასაძლიერებლად წარმოდგენილი ამოცანები არ მოიცავს შრომით ურთიერთობებში გენდერული და სოციალური ასპექტების ამსახველ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ა) თანაბარი შრომისთვის არათანაბარი ანაზღაურება, როგორც ქალების დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა; ბ) ქალების აუნაზღაურებელი და უხილავი მზრუნველობითი შრომა; გ) სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების შრომითი უფლებების დაცვის საკითხები, მათ შორის, ეროვნული უმცირესობები, ლგბტ+ თემის წარმომადგენლები, ხანდაზმულები; დ) ბავშვთა დაცვა იძულებითი შრომისგან;
- ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიით შრომის უფლების დაცვის მიმართულებით განსაზღვრული ინდიკატორები არ არის საკმარისი და ვერ უზრუნველყოფს სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების შეფასებას;
- ადამიანის უფლებათა სტრატეგიის სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტში შრომითი უფლებების მიმართულებით განსაზღვრული ამოცანების ნაწილი საჭიროებს შინაარსობრივ დახვეწას და გაუმჯობესებას ნათელი, განჭვრეტადი და გაზომვადი აქტივობებისა და ინდიკატორების მითითებით.

გ) ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტში შრომითი უფლებების დაცვის მიზნით ჩამოყალიბებული ამოცანებისა და აქტივობების შეფასება

- სტრატეგიის დოკუმენტში ნათლად არ არის წარმოდგენილი, განახორციელა თუ არა საქართველოს მთავრობამ გარემოს დაცვის სფეროში არსებული პრობლემების სიტუაციური ანალიზი, სათანადოდ შეაფასა თუ არა საერთა-

შორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების რეკომენდაციები და გაიარა თუ არა კონსულტაციები გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებულ რელევანტურ სახელმწიფო უწყებებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან;

- სტრატეგიის დოკუმენტში გარემოს დაცვის უფლების რეალიზების გაძლიერების მიმართულებით შემოთავაზებული ამოცანები, გარკვეულწილად, ასახავს ქვეყანაში არსებულ საჭიროებებს. მათ შორის, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და განხორციელების უზრუნველყოფა, გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებებით ეფექტიანი სარგებლობა, სუფთა ჰაერსა და ხარისხიან სასმელ წყალზე წვდომის გაუმჯობესება, ნარჩენების ეფექტიანი მართვა და გარემოს დაცვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამოცანები ძალიან ზოგადი ხასიათისაა, რაც ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა სამოქმედო გეგმაში კონკრეტული აქტივობების ჩამოყალიბებისა და ამოცანის მიღწევის შედეგების შეფასების კუთხით. ამან კი, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა მოახდინოს სტრატეგიული პრიორიტეტის მიღწევასა და შესრულების შეფასებაზე;
- ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიაში ყურადღების მიღმა დატოვებული კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები. შესაძლოა, ისინი ინტეგრირებული იყოს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ამოცანის ფარგლებში და პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდებოდეს სხვა ამოცანებსაც, მათ შორის, ჰაერის ხარისხისა თუ ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებას, თუმცა, კლიმატის ცვლილება, თავისი მნიშვნელობისა და ადამიანის სხვადასხვა უფლებაზე უდიდესი ზეგავლენის გამო, აუცილებლად ცალკე უნდა გამოეყოთ და ერთ-ერთ ძირითად, პრიორიტეტულ მიმართულებად განესაზღვრათ;
- ადამიანის უფლებათა სტრატეგიის სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტში გარემოს დაცვის კუთხით განსაზღვრული აქტივობები, გარკვეულწილად, შეესაბამება სტრატეგიით გათვალისწინებულ ამოცანებს, თუმცა, ისინი ვერ პასუხობს პრიორიტეტული მიმართულებებით არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებს. აუცილებელია, სხვადასხვა აქტივობის დამატება და გარემოს დაცვის ნაწილში სამოქმედო გეგმის დახვეწა. ამასთანავე, თითოეულ აქტივობას უნდა გააჩნდეს მკაფიოდ განსაზღვრული და გაზომვადი ინდიკატორები.

II. შესავალი

2023 წლის 23 მარტს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა რიგით მეორე ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის,¹ რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ იყო შემუშავებული და 2022 წლის 5 სექტემბერს დამტკიცებული.² ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის მიზანია საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სისტემური გარანტიების განმტკიცება და სახელმწიფო მმართველობის სისტემაში შესაბამისი მექანიზმების შემუშავება. იგი ქმნის ერთიან ჩარჩოს ქვეყანაში ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ეროვნული სისტემისა და ინსტიტუციური დემოკრატიის გასაძლიერებლად.

ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია მოიცავს ოთხ პრიორიტეტულ მიმართულებას:

- ა) მართლმსაჯულების, სამართლის უზენაესობის პრინციპების, ინსტიტუციური დემოკრატიის გამყარება და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით ეფექტიანი სარგებლობა;
- ბ) ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვის გაძლიერება და ამისთვის სისტემური გარანტიების გაუმჯობესება;
- გ) თანასწორობის კონსტიტუციური გარანტიების ასახვა სახელმწიფო პოლიტიკაში, მათი დანერგვა პრაქტიკაში და ადამიანის უფლებებით და თავისუფლებებით სარგებლობა დისკრიმინაციის გარეშე;
- დ) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების უკანონო ოკუპაციის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის, მათ შორის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

სტრატეგიის თითოეული პრიორიტეტული მიმართულება თემატურ უფლებებთან დაკავშირებით განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ საკანონმდებლო და პრაქტიკულ დონეზე გასატარებელ ღონისძიებებს მიზნებისა და ამოცანების სახით.

ამ დოკუმენტის მიზანია ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესის შეფასება და სტრატეგიის მეორე პრიორიტეტის - სოციალური უფლებების დაცვის გაძლიერების მონიტორინგი **შრომითი და გარემოსდაცვითი** მიმართულებით. ამისთვის, 2023 წელს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ შეიმუშავა **ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის მონიტორინგის მეთოდოლოგია**, რომელიც მოიცავს: ა) სტრატეგიის შემუშავების პროცესის, როგორც პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების ციკლის შეფასებას და ბ) სტრატეგიით გათვა-

¹ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 23 მარტის დადგენილება №2663-XIმს-Xმპ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2022-2030 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/5757268?publication=0>.

² 2022 წლის 5 სექტემბრის მთავრობის სხდომა, ხელმისაწვდომია: საქართველოს მთავრობა – საქართველოს მთავრობის 2022 წლის სხდომები (www.gov.ge).

ლისწინებული კონკრეტული უფლების განხორციელების მონიტორინგის ფორმებსა და მექანიზმებს. მონიტორინგის მეთოდოლოგია საჯაროდ არის ხელმისაწვდომი.³

ადამიანის უფლებათა სტრატეგიით გათვალისწინებული შრომითი და გარემოსდაცვითი უფლებების შეფასებისა და განხორციელების მონიტორინგი ეფუძნება პროექტის ფარგლებში შემუშავებულ მეთოდოლოგიას, რომელიც მოიცავს შემუშავების პროცესის შეფასებასა და კონკრეტული უფლებების განხორციელების მონიტორინგს.

ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიაში შრომითი და გარემოსდაცვითი უფლებების მონიტორინგის ფარგლებში მოთხოვნილი იყო საჯარო ინფორმაცია საჯარო დაწესებულებებიდან როგორც სტრატეგიის შემუშავების პროცესის, ასევე, შრომითი და გარემოსდაცვითი უფლებების თაობაზე. კვლევის ფარგლებში საჯარო ინფორმაცია გამოვითხოვეთ:

- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესის თაობაზე (იხ. დანართი 1);
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან და სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურიდან შრომითი უფლებების განხორციელების თაობაზე (იხ. დანართები 2 და 3);
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან გარემოსდაცვითი უფლებების თაობაზე (იხ. დანართი 4);
- სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრიდან გარემოსდაცვითი უფლებების თაობაზე (იხ. დანართ 5);
- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოდან გარემოსდაცვითი უფლებების თაობაზე (იხ. დანართი 6);
- სსიპ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან გარემოსდაცვითი უფლებების თაობაზე (იხ. დანართი 7).

სამწუხაროდ, კვლევის მიმდინარეობის პროცესში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, არ მოგვაწოდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, რის გამოც, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, კვლევაში დამატებით ავსახოთ მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საჯარო ინფორმაცია, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, ასევე არ მოგვაწოდეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სსიპ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა.

კვლევის პროცესში გაანალიზდა ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტი, საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული საჯარო ინფორმაცია და ღია წყაროებში არსებული თემატური კვლევები/განცხადებები, რომლებზე დაყრდნობითაც, მომზადდა შეფასება და რეკომენდაციები.

3

?????

III. ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესის შეფასება

საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წელს დამტკიცებული ადამიანის უფლებათა პირველი ეროვნული სტრატეგიის ვადა 2020 წლის ბოლოს ამოიწურა. მისი სამუშაო დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომი 2022 წლის 23 აგვისტოს გახდა. საქართველოს მთავრობამ გარე დაინტერესებული მხარეებისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიაზე მოსაზრებების გაგზავნის ვადად 2 კვირა განსაზღვრა და დოკუმენტი ამ ვადის გასვლისთანავე, 2022 წლის 5 სექტემბერს დაამტკიცა.⁴

კვლევის ფარგლებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან გამოვითხოვეთ საჯარო ინფორმაცია ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესის სრული ციკლისა და ეტაპების თაობაზე, შესწავლილი დოკუმენტებისა და ჩართული მხარეების, წარმოდგენილი რეკომენდაციებისა და სტრატეგიის დოკუმენტში მათი გათვალისწინების შესახებ. სამწუხაროდ, **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ მოგვანჭო**, რის გამოც, კვლევის ფარგლებში ვიხელმძღვანელებთ მხოლოდ ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიაში წარმოდგენილი ინფორმაციით სტრატეგიის შემუშავების პროცესის თაობაზე.

ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის თანახმად, სტრატეგიის შემუშავების პროცესში შესაბამისი წარმომადგენლების ჩართულობის უზრუნველსაყოფად მთავრობამ ჩამოაყალიბა მაღალი დონის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ეთხოვა საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან რეგულარული თანამშრომლობა დოკუმენტის შემუშავების პროცესში. სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტდა ყველა სამინისტროს წარმომადგენლით, მინისტრის მოადგილეების დონეზე, ასევე, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელი თანამდებობის პირებითა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებით.⁵

სტრატეგიის დოკუმენტში დამატებით აღნიშნულია, რომ უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შეიქმნა რამდენიმე თემატური სამუშაო ჯგუფი, რომელთა მიზანი იყო სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებებსა და მიზნების განსაზღვრაზე ეფექტიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფა. თემატური ჯგუფები მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: მართლმსაჯულებისა და სამართლის უზენაესობის პრინციპების განმტკიცება; ეკონომიკური და სოციალური უფლებების გაძლიერება; თანასწორობის და დისკრიმინაციის აკრძალვის კონსტიტუციური გარანტიების შექმნა; რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების უკანონო ოკუპაციის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა.⁶

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის თანახმად, სტრატეგიის შემუშავებისას მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა 2020 წელს დაწყებული Covid-19-ის პანდემია, რომელმაც ამ პროცესში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა შეაფერხა. თუმცა, სტრატეგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ, სირთულეების მიუ-

⁴ იხ. სქოლიო 2.

⁵ იხ. სქოლიო 1.

⁶ იქვე.

ხედავად, მოიძებნა გზები სამუშაო ჯგუფის საქმიანობის უსაფრთხოდ და, ამასთანავე, მხარეების ჩართულობით წარმართვისთვის.⁷

ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის თანახმად, ახალი მიმართულებების განსაზღვრის მიზნით, შესწავლილი იყო: ა) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და უზენაესი სასამართლოს იურისპრუდენცია; ბ) საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ბოლო წლების განმავლობაში მომზადებული ანგარიშები; გ) საქართველოს მიმართ შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების, საზედამხედველო ორგანოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ უკანასკნელ პერიოდში ჩატარებული კვლევები, მათ მიერ გაკეთებული შეფასებები და რეკომენდაციები.⁸ **თუმცა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას არ გამოუქვეყნებია ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის სიტუაციური ანალიზის დოკუმენტი, რომელსაც დაეფუძნა სტრატეგიის დოკუმენტი და სტრატეგიული მიმართულებები. გარდა ამისა, მასში არ არის დამატებითი მითითებული, სტრატეგიის შემუშავების პროცესში რამდენად იყო გათვალისწინებული გენდერული და სოციალური ინკლუზიის პრინციპები.**

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შეფასებით, ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავების მთელ პროცესს აკლდა ინკლუზიურობა და გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.⁹ იქიდან გამომდინარე, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები არ იყვნენ არსებითად ჩართულნი ეროვნული სტრატეგიის მომზადების პროცესში, ასევე, დოკუმენტის მოცულობისა და თემატიკის მრავალფეროვნების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული 2-კვირიანი ვადა არ იყო გონივრული დოკუმენტის გასაცნობად და მოსაზრებების ჩამოსაყალიბებლად.¹⁰ მართალია, 2023 წლის 31 აგვისტოს სტრატეგიის სამუშაო ვერსიის განხილვისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ სტრატეგიის დამტკიცებამდე მნიშვნელოვანი იყო ყველა დაინტერესებულ მხარეს ჰქონოდა დოკუმენტთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებების გამოთქმის და შინაარსიან განხილვაში მონაწილეობის შესაძლებლობა, თუმცა მთავრობამ სტრატეგია სათანადო განხილვების გარეშე 5 სექტემბერს დაამტკიცა.¹¹

ამასთანავე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, გარდა ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესისა, მის შინაარსთანაც ჰქონდათ კრიტიკული კომენტარები და შეთავაზებები, რადგან დოკუმენტი **არ ითვალისწინებდა** ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებულ არაერთ გამონწვევას, მათ შორის:¹²

- მართლმსაჯულების სისტემის განვითარების კუთხით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირების აუცილებლობა;

⁷ იქვე.

⁸ იქვე.

⁹ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი: Democracy Research Institute.

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე.

¹² იქვე.

- მოსამართლეთა ინდივიდუალურ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული პრობლემები;
- სამართალდამცავების მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულებრივი ფაქტების ეფექტიანი გამოძიება;
- ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მანდატის განხორციელების დროს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი;
- სკოლამდელი განათლების სისტემის რეფორმის ეფექტიანი იმპლემენტაცია;
- ადრეული ქორწინების პრევენცია;
- საქართველოს შრომის კანონმდებლობის რეფორმის გაგრძელებისა და გაუმჯობესების საკითხი;
- განგრძობადი ოკუპაციის აღმოფხვრის/პრევენციის საკითხი;
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქალთა, ლგბტ თემის, ბავშვთა და მშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე სავარაუდო წამების ფაქტების ეფექტიანი გამოძიებისა და პრევენციული ზომების გამოყენების საკითხი.

ცალკე ხაზგასასმელია, რომ დოკუმენტში, სხვა სოციალური ჯგუფებისგან განსხვავებით, ერთხელაც არ არიან ნახსენები ლგბტ ადამიანები და მათი უფლებები.¹³

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ საქართველოს მთავრობის მიერ ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესი არ აკმაყოფილებდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით განსაზღვრულ პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების სტანდარტებს,¹⁴ განსაკუთრებით, გარე დაინტერესებული მხარეების მონაწილეობისა და საჯარო განხილვის კუთხით, რამაც, თავის მხრივ, ნეგატიური გავლენა მოახდინა სტრატეგიის შინაარსობრივი ნაწილის სრულყოფილად განსაზღვრაზე.

ამასთანავე, წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია, წარმოვადგინოთ ინფორმაცია სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის ქრონოლოგიისა და თანმხლები მოვლენების თაობაზე. კერძოდ, სტრატეგიის დოკუმენტის მიღების შემდგომ საქართველოს მთავრობამ მუშაობა დაიწყო ადამიანის უფლებათა დაცვის პირველ სამოქმედო გეგმაზე. არასამთავრობო ორგანიზაციები ჯერ კიდევ 2023 წლის თებერვალში აცხადებდნენ მზაობას, ამ გეგმასთან დაკავშირებით კოორდინირებულად წარედგინათ წერილობითი მოსაზრებები საქართველოს მთავრობის

¹³ იხ. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფისა და თანასწორობის მოძრაობის პოზიცია, პუბლიკა, 15.09.2022, ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/ratom-ar-ar-is-nakhsenebi-lgbt-adamiane-bi-adamianis-uflebata-dacvis-erovnul-strategiashi/> [17.11.2023].

¹⁴ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილება პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ; ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4747283?publication=0>.

ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოსთვის (შემდეგში - სამდივნო). თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრების მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ინიცირებული კანონპროექტი შეუძლებელს ხდიდა სტრატეგიით დასახული და სამოქმედო გეგმით გასათვალისწინებელი ნებისმიერი ამოცანის/აქტივობის ეფექტიან შესრულებას. ამის გამო, **2023 წლის 28 თებერვალს სამოქალაქო საზოგადოების 50-ზე მეტმა ორგანიზაციამ წერილი გაუგზავნა სამდივნოს, რომელშიც დადასტურდა ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით წერილობითი მოსაზრებების მომზადებისა და კოორდინირებულ ფორმატში წარმოდგენის სურვილი.**¹⁵ თუმცა, ამავე წერილში ხაზგასმით აღინიშნა, რომ უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტების ინიცირების გამო, მზარდი კონტროლის, შევიწროებისა და რეპრესიების უკვე არსებული რუსული გამოცდილების გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო ამ ორი პროცესის პარალელური თანაარსებობა. ამასთანავე, ხელმომწერი ორგანიზაციები¹⁶ მოუწოდებდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, ნიკო თათულაშვილს, საჯაროდ დაეფიქსირებინა პოზიცია კანონპროექტთან დაკავშირებით და ორგანიზაციებს პირადად შეხვედროდა. ამ წერილზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს სამდივნოსგან უკუკავშირი არ მიუღიათ.

2023 წლის 19 მარტს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა მე-2 წერილი გაუგზავნეს სამდივნოს.¹⁷ წერილში მათ გამოხატეს პოზიცია, რომ, მიუხედავად კანონპროექტების გაწვევისა, უფლებადამცველების მიმართ დამაკნინებელი და სიძულვილის ენის გამოყენება, სამოქალაქო საზოგადოებისთვის სივრცის შევიწროების ნებისმიერი მცდელობა (ხსენებული კანონპროექტების თუ სხვა საკანონმდებლო ან პრაქტიკული გამოვლინების სახით) ევროკავშირის ძირეულ ფასეულობებს დაუპირისპირდებოდა, იქნებოდა კანდიდატის სტატუსის მიღების საბოტაჟი და კონსტიტუციის 78-ე მუხლის საწინააღმდეგო ქმედება.

ამავე წერილში ხაზგასმული იყო, რომ ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა წარმოადგინონ იმ ადამიანების ხმა, რომელთა ინტერესებს სხვადასხვა სამართლებრივი გზითა თუ სერვისის მიწოდებით, წლებია, იცავენ, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი უფლებრივი ჯგუფი საერთოდ არ იყო სტრატეგიაში ნახსენები.

სამოქალაქო საზოგადოების ჯეროვანი ჩართულობისთვის მნიშვნელოვანი იყო რეალური, ხელშესახები შესაძლებლობის არსებობა, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირები გაითვალისწინებდნენ შემოთავაზებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას ექნებოდა ფიქციური ხასიათი და ვერ

¹⁵ არასამთავრობო ორგანიზაციების 2023 წლის 28 თებერვლის მიმართვა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველს ადამიანის უფლებათა საკითხებში, ბ-ნ ნიკო თათულაშვილს; ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/aqxS2>.

¹⁶ იქვე.

¹⁷ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს; ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/gkAKW>.

უზრუნველყოფდა იმ ლეგიტიმურ მიზნებს, რომლებსაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ინკლუზიური პროცესები ემსახურება.

ამ მხრივ, სამდივნოს წერილობით ეთხოვა, ეცნობებინა:

- i. რა ვადებში იგეგმებოდა ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შემუშავება?
- ii. შეიმუშავა თუ არა სამდივნომ ფორმალური წესი, რომელიც განსაზღვრავდა სამოქმედო გეგმის შემუშავების ორგანიზებას და ვადებს? როდის იგეგმებოდა სამუშაო შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან?
- iii. რომელი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით იგეგმებოდა სამოქმედო გეგმის შემუშავება? გათვალისწინებული იყო თუ არა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში? ამ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, როგორი იყო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის ფორმატი?

ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანი იყო/არის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანად დასაგეგმად. **არც ამ წერილზე უკუკავშირი სამდივნოსგან არ ყოფილა.**

2023 წლის 6 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის ინიციატივით და ფასილიტაციით გაიმართა შეხვედრა ადამიანის უფლებების საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველ ნიკო თათულაშვილსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.¹⁸ შეხვედრის მიზანი იყო ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, ძირითადად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჯეროვანი ჩართულობის საჭიროების მიმართულებით.

შეხვედრაზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გამოთქვეს წუხილი იმ საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ქვეყანაში უფლებრივი მდგომარეობის გაუარესებას, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოებისთვის სივრცის შევიწროების პრაქტიკას ეხებოდა.¹⁹ ზემოთ ხსენებული შეკითხვები შეხვედრაზე დაისვა, თუმცა მათზე კონკრეტული პასუხები, სამწუხაროდ, წინამდებარე ანგარიშის გამოქვეყნების ეტაპისთვისაც უცნობია.

2023 წლის 29 ივნისს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა გამართეს პრესკონფერენცია, რომელზეც საჯაროდ მიმართეს სამდივნოს და გამოთქვეს მზაობა, წარმოედგინათ მოსაზრებები. მიმართვის ტექსტი იხ. ქვემოთ:

¹⁸ საია მოუწოდებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს, სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების ჯეროვანი ჩართულობის ფორმატი; ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/ge/post/gyla-calls-on-the-secretariat-of-human-rights-of-the-government-of-georgia-to-provide-a-format-for-the-continuous-involvement-of-civil-society-in-the-process-of-developing-the-action-plan>.

¹⁹ იქვე.

„ჩვენ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, საჯაროდ მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩეროვანი ჩართულობის ფორმატი.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ყველა ეტაპზე გამოხატავდნენ/გამოხატავენ მზაობას, წვლილი შეიტანონ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. ეს დასტურდება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოსთან 2023 წლის 28 თებერვლისა და 19 მარტის წერილობითი კომუნიკაციით. თუმცა, გვჯერა, რომ აღნიშნული ჩართულობა უნდა იყოს ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის თანმხლები პროცესი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოების მიმართ მტრული პროცესების ინიცირების/წახალისების პარალელურად, ნებისმიერი ჩართულობა ფიქციური, მოჩვენებითია. ნიშანდობლივია ასევე, რომ თავად სტრატეგია დაინტერესებულ მხარეებთან ჩეროვანი განხილვის გარეშე დამტკიცდა.

ჩვენ გვჯერა, რომ ჭეშმარიტად ინკლუზიური პროცესი შექმნის უკეთეს სამოქმედო გეგმას, რომელიც სარგებელს მოუტანს თითოეულ ადამიანს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოების ზოგიერთი განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფი, მათ შორის, ლგბტქი ადამიანები და მათი საჭიროებები საერთოდ არ არის სტრატეგიაში ნახსენები.

ამასთანავე, სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისიის 2023 წლის 22 ივნისის ზეპირ მოხსენებაში ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა განახლოს კონსტრუქციული დიალოგი სამოქალაქო საზოგადოებასთან და განახორციელოს რეგულარული და გამჭვირვალე კონსულტაციები. კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ ჩვენი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, საქმიანობის მთავარი მიზანი კანდიდატის სტატუსის მოპოვებისთვის მაქსიმალური ძალისხმევის გაწევაა. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2023 წლის 31 ივლისს გამოვაქვეყნებთ მოსაზრებებს, რომელთა გათვალისწინებაც ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრებისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

ამავდროულად, მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას:

- შეწყვიტოს სამოქალაქო საზოგადოებისთვის სივრცის შემავიწროებელი პრაქტიკა და არ დაუპირისპირდეს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით განსაზღვრულ ღირებულებათა წესრიგს;

- უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩეროვანი ჩართულობის ფორმატი.“

ხსენებული მოსაზრებები 2023 წლის 31 ივლისს გამოქვეყნდა საჯაროდ და, ასევე, წერილობით წარედგინა სამდივნოს.²⁰ თუმცა, ცხადია, ისინი დარჩება მხოლოდ ფაკულტატიური ბუნების მქონე დოკუმენტად, თუკი სახელმწიფოს მხრიდან არ გადაიდგმება მნიშვნელოვანი ნაბიჯები საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2022-2030 წლებისთვის) აღსრულების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჯეროვანი ჩართულობისთვის.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთობლივი მოსაზრებები სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით მოიცავდა სტრატეგიის ოთხივე პრიორიტეტს და დამატებით გამოყოფდა საკითხებს, რომლებიც სტრატეგიაში საერთოდ არ იყო გათვალისწინებული, როგორებიცაა: ლგბტ თემის უფლებები და უსახლკარობის პრევენცია.²¹

2023 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს გაუზიარა და 2023 წლის 1-ელ ნოემბერს სამუშაო შეხვედრაზე მიიწვია. საია კრიტიკულად აფასებს ადამიანის უფლებათა სტრატეგიის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის გაზიარებას შეხვედრამდე ერთი დღით ადრე, რადგან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს არ მიეცათ გონივრული ვადა, რათა მას სრულყოფილად გასცნობოდნენ და შეხვედრაზე საკუთარი მოსაზრებები წარმოედგინათ. ამასთანავე, კრიტიკულ შეფასებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ სამოქმედო გეგმაში კვლავ არ არის ასახული ლგბტ პირთა უფლებრივი საკითხები.

არსებითად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა, დოკუმენტის სამუშაო ვერსიაზე კომენტარების წარსადგენად გონივრული ვადის განსაზღვრა, მისი საჯარო განხილვა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წარდგენილი მოსაზრებების გათვალისწინება. ასევე, არსებითია სადისკუსიო/ჩართულობის ფორმატის არსებობა, რომლის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოება მიიღებს ჯეროვან უკუკავშირის უწყებებისა თუ მთავრობის ადმინისტრაციისგან იმ მოსაზრებებზე, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოებამ წარადგინა და, რომელთა გათვალისწინებასაც მთავრობა არ აპირებს. 2023 წლის 9 ნოემბრის მონაცემებით, უცნობია, როგორი იქნება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს მიერ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობისთვის შემოთავაზებული ფორმატი.

²⁰ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთობლივი მოსაზრებები ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით; 31.06.2023. ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/files/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf>.

²¹ იქვე.

IV. სოციალური უფლებების დაცვის გაძლიერების მონიტორინგი

1. შრომის უფლება

1.1. შესავალი

ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის მეორე პრიორიტეტი განსაზღვრავს სოციალური უფლებების დაცვის გაძლიერების ძირითად მიმართულებებს, მათ შორის, შრომითი უფლებების დაცვის სფეროში. მოცემულ შემთხვევაში, სტრატეგიის მიზანია შრომითი უფლებების ეფექტიანი დაცვა და შრომის უსაფრთხოების სისტემების განგრძობადი გაუმჯობესება. სტრატეგიის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შრომითი უფლებების ხელშეწყობი სამართლებრივი ბაზისა და ეროვნული მექანიზმების გაძლიერება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რათა მიღწეული იყოს სტრატეგიით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები.

ამ მიზნის მისაღწევად, სტრატეგია განსაზღვრავს შემდეგ ამოცანებს:

- შრომის კანონმდებლობაზე არსებული საზედამხედველო მექანიზმების განვითარება და გაძლიერება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; შრომის უსაფრთხოების მექანიზმების გაძლიერება სამუშაო ადგილებზე;
- შრომის კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელებისთვის შესაფერისი პირობების შექმნა და შრომის ინსპექციის სამსახურის გაძლიერება;
- შრომითი მედიაციის სისტემის გაძლიერება; სოციალური დიალოგის ეფექტიანი და განგრძობადი განვითარება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე;

სტრატეგია აყალიბებს მიზნების მიღწევის შეფასების ძირითად ინდიკატორებს, როგორებიცაა:

- ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად ევროკავშირის დირექტივების ასახვის მაჩვენებელი ეროვნულ შრომის კანონმდებლობაში;
- სამუშაო ადგილზე დაშავების/გარდაცვალების სიხშირე 100 000 დასაქმებულზე;
- შრომითი ნორმების ეფექტიანად აღსრულების მიზნით განხორციელებული ინსპექტირებების რაოდენობა, შემოწმებული მოქმედი სუბიექტების პროცენტული მაჩვენებელი.

1.2. შრომის უფლებების დაცვის სფეროში სტრატეგიის დაგეგმვისა და განსაზღვრის შეფასება

ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტში, გარდა სტრატეგიის მომზადების პროცესის ზოგადი ჩანაწერისა, დამატებით არ არის მითითებული შრომის უფლების დაცვის ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრის საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში, **არ არის ნათელი, საქართველოს მთავრობამ განახორციელა თუ არა შრომითი უფლებების დაცვის სფეროში არსებული პრობლემების**

სიტუაციური ანალიზი და შემოთავაზებული ამოცანები დაეფუძნა თუ არა ამ ანალიზის მიგნებებს. გარდა ამისა, სტრატეგიის დოკუმენტი არ მოიცავს საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების იმ კვლევებსა და ანგარიშებს, რომლებიც შრომის უფლების დაცვის მდგომარეობის შესასწავლად იყო გამოყენებული. ამასთანავე, მასში არ არის მითითებული რელევანტური სახელმწიფო უწყებების (შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური) მონაწილეობისა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული კონსულტაციების ხარისხი, მათ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები და მათი გათვალისწინების მაჩვენებელი.

ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიაში შრომითი უფლებების დაცვის გაძლიერებლად ჩამოყალიბებული ამოცანების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დოკუმენტში **გენდერული და სოციალური ინკლუზიის პერსპექტივები არ არის გათვალისწინებული**. წარმოდგენილი ამოცანები არ შეიცავს შრომით ურთიერთობებში გენდერული და სოციალური ასპექტების ამსახველ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ა) თანაბარი შრომისთვის არათანაბარი ანაზღაურება, როგორც ქალების დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა; ბ) ქალების აუნაზღაურებელი და უხილავი მზრუნველობითი შრომა; გ) სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების შრომითი უფლებების დაცვის საკითხები, მათ შორის, ეროვნული უმცირესობები, ლგბტ+ თემის წარმომადგენლები, ხანდაზმულები; დ) ბავშვთა დაცვა იძულებითი შრომისგან.

ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიაში შრომითი უფლებების დაცვის გაძლიერების მიმართულებით შემოთავაზებული ამოცანები **გარკვეულწილად ასახავს** ქვეყანაში არსებულ საჭიროებებს, მათ შორის: ა) შრომის კანონმდებლობაზე ზედამხედველობის მექანიზმების გაძლიერება; ბ) შრომის მედიაციის სისტემის გაძლიერება; გ) შრომის კანონმდებლობის განხორციელებისთვის ეფექტიანი პირობების შექმნა და შრომის ინსპექციის გაძლიერება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს ამოცანები **ძალიან ზოგადი სახით** არის ჩამოყალიბებული, რაც ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა სამოქმედო გეგმაში კონკრეტული აქტივობების განსაზღვრისა და ამოცანის მიღწევის შედეგების შეფასების კუთხით. ამან კი, შესაძლოა, **ნეგატიური გავლენა** მოახდინოს სტრატეგიული მიზნის მიღწევისა და შესრულების შეფასებაზე.

სასურველია, ამოცანები უფრო კონკრეტულად იყოს გაწერილი, რათა სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსახორციელებელ აქტივობებს ჰქონდეს ამბიციური ხასიათი და არ მოიცავდეს უწყების მიერ თავისი საქმიანობის ფარგლებში ისედაც დაგეგმილ აქტივობებს.

პრობლემურია, რომ ადამიანის უფლებათა სტრატეგიაში შრომითი უფლებების დაცვის გაძლიერების მიმართულებით ჩამოყალიბებული ამოცანები **არ ითვალისწინებს** სამართლებრივი რეგულირების გაუმჯობესების საჭიროებას, რადგან, მიუხედავად 2020 წელს განხორციელებული შრომის კოდექსის რეფორმისა, მნიშვნელოვანი საკითხების ნაწილი კვლავ მოუწესრიგებელი დარჩა. ამ საკითხებს მიეკუთვნება ისეთი თემები, როგორებიცაა: ა) ზეგანაკვეთური სამუშაოს ზედა ზღვრის და მისი ანაზღაურების პროცენტული ოდენობის დადგენა კერძო სექტორში; ბ) დამსაქმებლის მიერ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურების ვალდებულების განსაზღვრა კერძო სექტორში; გ) შრომითი ურთიერთობის შე-

წყვეტის საფუძვლების გადახედვა და ფართო ინტერპრეტაციის მქონე საფუძვლების ამოღება კერძო სექტორში; დ) ღირსეული მინიმალური ხელფასის არარსებობა საჯარო და კერძო სექტორებში; ე) შრომით ურთიერთობებში სოციალური გარანტიების არარსებობა ან/და სიმცირე საჯარო და კერძო სექტორებში; ვ) კოლექტიური გაფიცვის შესაძლებლობის არარსებობა საჯარო და კერძო სექტორებში; ზ) პროფესიული კავშირების შექმნისა და მისი წევრების უფლების დაცვის გარანტიების გაძლიერების საჭიროება საჯარო და კერძო სექტორებში. შესაბამისად, **ადამიანის უფლებების მოქმედი სტრატეგიის ერთ-ერთი ნაკლოვანება სამართლებრივი რეგულირების გაუმჯობესების საჭიროებაზე უარის თქმაა.**

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია ყურადღების მიღმა ტოვებს არაფორმალურ სექტორსა და Gig ეკონომიკაში დასაქმებული პირების შრომით უფლებებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საქართველოს შრომით ბაზარზე მნიშვნელოვან წილს იკავებენ.²² სტრატეგიაში არ არის ჩამოყალიბებული ხედვა, როგორ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ არაფორმალურ სექტორში დასაქმებული პირების ეტაპობრივად გადმოყვანა ფორმალურ სექტორში ან შეუქმნას მათ უფლების დაცვის გარკვეული გარანტიები შრომის კოდექსის საფუძველზე. გარდა ამისა, სტრატეგიაში არ არის წარმოდგენილი ხედვა Gig ეკონომიკაში დასაქმებული პირების შრომითი უფლებების დაცვის თაობაზე, რაც, ამ პირთა გახშირებული გაფიცვების გათვალისწინებით, სახელმწიფოს ყურადღებას საჭიროებს.

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიით, შრომის უფლების დაცვის მიმართულებით შემდეგი ინდიკატორებია განსაზღვრული:

- ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად ევროკავშირის დირექტივების ასახვის მაჩვენებელი ეროვნულ შრომის კანონმდებლობაში;
- სამუშაო ადგილზე დაშავების/გარდაცვალების სიხშირე 100 000 დასაქმებულზე;
- შრომითი ნორმების ეფექტიანად აღსრულების მიზნით განხორციელებული ინსპექტირებების რაოდენობა/შემოწმებული მოქმედი სუბიექტების პროცენტული მაჩვენებელი.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ინდიკატორები არ არის საკმარისი და ვერ უზრუნველყოფს სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების შესრულების შეფასებას. მნიშვნელოვანია, რომ ინდიკატორები იყოს ნათელი, განჭრეტადი და გაზომვადი თითოეულ მიზანთან მიმართებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიაში შრომითი უფლების გაძლიერების მიმართულების ჩამოყალიბებისას სათანადოდ არ გაანალიზებულა ამ სფეროში არსებული ანალიტიკური დოკუმენტები. ასევე, არ იყო უზრუნველყოფილი გარე

²² ღირსეული შრომის პლატფორმა, გიგ ეკონომიკის რეგულირება - საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა; 7 ივნისი, 2021. ხელმისაწვდომია: <https://shroma.ge/reports/gig-economy/>.

დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, შრომის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა სტრატეგიული ამოცანების სრულყოფილად და მრავლისმომცველად განსაზღვრაზე. ამ ამოცანების ანალიზი აჩვენებს, რომ ისინი **სრულად ვერ პასუხობს** ქვეყანაში შრომითი უფლებების სფეროში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს, **ყურადღების მიღმა ტოვებს** შრომის უფლების გენდერულ და სოციალურ ასპექტებს. იმავდროულად, სასურველია, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია არ შემოიფარგლოს შრომის უფლებების სფეროში არსებული რეგულირებებით და ჩამოაყალიბოს ფართო ხედვა, რომელიც მოიცავს შრომის უფლებების საკანონმდებლო მოწესრიგების გაუმჯობესებას, პრაქტიკაში დანერგვის ახალი და ეფექტიანი მექანიზმების შექმნას და არ შემოიფარგლება შრომის ბაზრის ფორმალური გაგებით.

1.3. შრომის უფლების დაცვის გაძლიერების მიზნით ჩამოყალიბებული ამოცანების შეფასება

კვლევის ფარგლებში შეფასებულია ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის მიერ შრომის უფლებების დაცვის გაძლიერების მიზნით ჩამოყალიბებული ამოცანების ფარგლები და შემოთავაზებულია თითოეული ამოცანის მიზნების მისაღწევად სამოქმედო გეგმაში გასათვალისწინებელი აქტივობების ჩამონათვალი შესაბამისი დასაბუთებით.

(1) შრომის კანონმდებლობაზე არსებული საზედამხედველო მექანიზმების განვითარება და გაძლიერება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; შრომის უსაფრთხოების მექანიზმების გაძლიერება სამუშაო ადგილებზე

შრომის კანონმდებლობისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების აღსრულების მიზნით, მნიშვნელოვანია, შრომის ინსპექციის სამსახურმა, ერთი მხრივ, გააძლიეროს საზედამხედველო მექანიზმები, ხოლო, მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს კერძო და საჯარო სექტორში სამუშაო ადგილზე შრომის უფლებების დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მექანიზმების შექმნას. ამ მიზნით, შრომის ინსპექციის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით²³ გათვალისწინებული ევროკავშირის დირექტივების პრაქტიკაში დანერგვა და იმპლემენტაცია, რაც, შესაძლოა, საჭიროებდეს როგორც საკანონმდებლო, ისე ინსტიტუციურ ცვლილებებს. შრომის ინსპექციის სამსახურს ასევე შეუძლია, შეიმუშაოს სახელმძღვანელო დოკუმენტები და რეკომენდაციები კერძო და საჯარო სექტორში დამსაქმებლებისა და დასაქმებულებისთვის შრომის უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის მიზნით.

²³ ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის; ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/2496959>.

სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების მექანიზმების გაძლიერებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტების რაოდენობის გაზრდა, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ აკრედიტებული სასწავლო დაწესებულებებისა და პროგრამების რაოდენობასა და ხელმისაწვდომობაზე. მნიშვნელოვანია, რომ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების რაოდენობა პასუხობდეს შრომის ბაზარზე წარმოშობილ საჭიროებებს და ითვალისწინებდეს განსაკუთრებით მოწყვლად სფეროებში არსებულ მოთხოვნას. დღესდღეობით, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების რაოდენობა მცირეა დაბალი და საშუალო რისკის მქონე სფეროების მიმართულებით (მომსახურების სფერო; მსუბუქი მრეწველობა), რაც საჭიროებს გაუმჯობესებას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ შრომის ინსპექციის სამსახურს მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეს და თანამშრომლობდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებთან სამუშაო ადგილებზე არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საია მიიჩნევს, რომ **ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში** ასახული უნდა იყოს შემდეგი აქტივობები:

- შრომის კანონმდებლობაზე არსებული საზედამხედველო მექანიზმების განვითარებისა და გაძლიერებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- შრომის ინსპექციის მიერ სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და რეკომენდაციების შემუშავება კერძო და საჯარო სექტორში სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების მექანიზმების გასაძლიერებლად;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების სერტიფიცირებისთვის აკრედიტებული სასწავლო ორგანიზაციებისა და პროგრამების რაოდენობის გაზრდა;
- სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების რაოდენობის გაზრდა;
- იმ საჯარო და კერძო დაწესებულებების რაოდენობის გაზრდა, რომლებშიც დასაქმებულია სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;
- შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებთან რეგულარული სამუშაო შეხვედრების და დისკუსიების წარმართვა არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

ამ აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებად განისაზღვრება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური.

ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტში შრომის კანონმდებლობაზე არსებული საზედამხედველო მექანიზმების განვითარებისა და გაძლიერების მიმართულებით განსაზღვრულია მხოლოდ 2 აქტივობა:

- შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრული ევროდირექტივების დამუშავება (19 დირექტივა);
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის მომზადება. შრომის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი რეაგირებითი და პრევენციული მექანიზმების გაუმჯობესება.

საია დადებითად აფასებს შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრული ევროდირექტივების დამუშავების საკითხს, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ სამოქმედო გეგმა მხოლოდ ამ აქტივობით არ შემოიფარგლოს და განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა დირექტივებით გათვალისწინებულ სტანდარტებთან, მით უფრო, რომ ამ აქტივობის შესრულების ვადად დადგენილია 2026 წლის IV კვარტალი.

საია ასევე დადებითად აფასებს სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტში შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის მომზადების ვალდებულების განსაზღვრას, თუმცა, შრომის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ღონისძიებები ზოგადი სახითაა ჩამოყალიბებული. მნიშვნელოვანია, რომ სამოქმედო გეგმით დაკონკრეტდეს შესაბამისი რეაგირებითი და პრევენციული მექანიზმები, რათა მათი შესრულების ინდიკატორები ნათლად იყოს განსაზღვრული და შეფასება არ გაართულოს.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ შრომის კანონმდებლობაზე არსებული საზედამხედველო მექანიზმების განვითარებისა და გაძლიერების მიმართულებით ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში უფრო დეტალურად უნდა გაიწეროს აქტივობები და გათვალისწინებული იყოს საიას მიერ ამ მიმართულებით წარდგენილი რეკომენდაციები.

(2) შრომის კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელებისთვის შესაფერისი პირობების შექმნა და შრომის ინსპექციის სამსახურის გაძლიერება

შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ თავისი ფუნქციების სრულყოფილად და ეფექტიანად განხორციელებისთვის აუცილებელია სამსახურის ადამიანური და ფინანსური რესურსებით გაძლიერება, რაც შეიძლება გამოიხატოს: ა) შრომის ინსპექტორების რაოდენობის გაზრდაში, განსაკუთრებით, შრომითი უფლებების დაცვის მიმართულებით; ბ) შრომის ინსპექტირების პროფესიული განვითარების გაძლიერებაში; გ) შრომის ინსპექტორების აღჭურვაში მათთვის საჭირო საშუალებებით.

შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს განხორციელებული ინსპექტირებების რაოდენობისა და ხარისხის გაზრდას, რაც დადებითად აისახება კერძო და საჯარო სექტორში შრომის კანონმდებლობის ეფექტიან დანერგვაზე. მიუხედავად იმისა, რომ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელებული გეგმური და არაგეგმური ინსპექტირებების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება, მნიშვნელოვანია, რომ ეს ტენდენცია შენარჩუნდეს და სამსახურ-

მა შეძლოს ახალი მოწყვლადი სფეროების დაფარვა. გარდა ამისა, სასურველია, შრომის ინსპექციის სამსახურმა გააფართოოს რეგიონული წარმომადგენლობა და ხელი შეუწყოს რეგიონულ დონეზე შრომითი კანონმდებლობის ეფექტიანი დანერგვისთვის შესაბამისი პირობების შექმნას.

შრომის ინსპექციის სამსახურის გაძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია მისი გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების გაზრდა, რათა სამსახურმა უზრუნველყოს თავისი საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირება და მასში გარე დაინტერესებული მხარეებისა და მოქალაქეების მონაწილეობის ხელშეწყობა, ასევე, ეფექტიანი შიდა და გარე ანგარიშვალდებულების მექანიზმების შემუშავება, კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საია მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ასახული უნდა იყოს შემდეგი აქტივობები:

- შრომის ინსპექციის სამსახურში ინსპექტორების რაოდენობის გაზრდა;
- შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელებული შრომის ინსპექტირებებისა და შემოწმებული მოქმედი სუბიექტების პროცენტული მაჩვენებლის რაოდენობის გაზრდა;
- შრომის ინსპექციის სამსახურის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების გაზრდა;
- შრომის ინსპექტორების განგრძობადი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა.

ამ აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებად განისაზღვრება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური.

ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტში შრომის კანონმდებლობაზე არსებული საზედამხედველო მექანიზმების განვითარებისა და გაძლიერების მიმართულებით განსაზღვრულია 5 აქტივობა:

- შრომის უსაფრთხოების მიმართულებით საქმეების შესწავლა;
- შრომის უფლებებზე ზედამხედველობის მიმართულებით საქმეების შესწავლა;
- სამუშაო ადგილზე თანასწორობის კუთხით საქმეების შესწავლა;
- შრომითი ნორმების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრების ჩატარება (სულ მცირე 30 შეხვედრა);
- სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავება და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების საშტატო ერთეულის შექმნა სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების მექანიზმების გასაძლიერებლად.

საიას შეფასებით, სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტში ასახული სამი აქტივობა - შრომის უფლებების, შრომის უსაფრთხოებისა და სამუშაო ადგილზე თანასწორობის კუთხით საქმეების შესწავლა - არის სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის ძირითადი ფუნქცია. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ სამოქმედო გეგმაში მათი, როგორც სამოქმედო გეგმის პერიოდისთვის შესასრულებელი განსაკუთრებული ვალდებულების, განსაზღვრა არ არის საჭირო. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტში არ არის გათვალისწინებული წარმოდგენილი აქტივობების გაზომვის ინდიკატორები და არ არის ნათელი, შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ რა რაოდენობის საქმეების შესწავლა მიიჩნევა ვალდებულების შესრულებად. ამასთანავე, ამ აქტივობებით არ ჩანს, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური ზრდის თუ ამცირებს შესასწავლი საქმეების რაოდენობას.

მოცემულ შემთხვევაში, საიას შემოთავაზებაა, სამოქმედო გეგმაში აქტივობებად გაიწეროს შრომის უფლებების, შრომის უსაფრთხოებისა და სამუშაო ადგილზე თანასწორობის კუთხით სახელმწიფო ინსპექტირებების რაოდენობის გეგმური გაზრდა, ხოლო ინდიკატორად განისაზღვროს ყოველწლიურად გეგმური ინსპექტირებების გაზრდილი პროცენტული მაჩვენებელი.

საია დადებითად აფასებს ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტში შრომითი ნორმების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრების ჩატარების ასახვას. თუმცა, სასურველია, რომ მასში დეტალურად გაიწეროს შეხვედრების სამიზნე ჯგუფები, თემატიკა და ამ აქტივობის შესრულების რეგიონული დაფარვა. შედეგად, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის ხელვა ცნობიერების ამაღლების კამპანიის პრიორიტეტების თაობაზე, ასევე სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების პროცესი შინაარსობრივ ინდიკატორსაც შეიძენს და არ შემოიფარგლება მხოლოდ რაოდენობრივი ინდიკატორით.

სამწუხაროდ, ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტში არ არის განსაზღვრული აქტივობები შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, იმის მიუხედავად, რომ ეს საკითხი სტრატეგიის ამოცანად არის ჩამოყალიბებული. მნიშვნელოვანია, რომ სამოქმედო გეგმაში ამ მიმართულებით გაიწეროს შესაბამისი აქტივობები და გათვალისწინებული იყოს საიას მიერ წარდგენილი რეკომენდაციები.

(3) შრომითი მედიაციის სისტემის გაძლიერება; სოციალური დიალოგის ეფექტიანი და განგრძობადი განვითარება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე;

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შრომითი მედიაციის სისტემის გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და ინსტიტუციური მექანიზმების გაუმჯობესება. სამინისტროს მიერ შრომითი მედიაციის პროცესში ეფექტიანად ჩართვას პრაქტიკაში აფერხებს შრომის მედიატორების სიმცირე და ამ პროცესში მათი მონაწილეობის არასათანადო მზაობა. ამისთვის აუცილებელია, სამინისტრომ გაზარდოს შრომის მედიატორების რაოდენობა და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე შესთავაზოს მათ შესაბამისი

სამუშაო პირობები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ შრომის მედიაციის პროცესი წარმატებით დასრულდეს და მხარეებმა მიაღწიონ შეთანხმებას, რაშიც სამინისტროს როლი განსაკუთრებით დიდია. შესაბამისად, მან აქტიური კომუნიკაცია უნდა აწარმოოს შრომის მედიატორებთან, მათ მიერ გაწეული ძალისხმევის შესახებ ინფორმაციის მიღების, არსებული პრობლემების ანალიზისა და გადაჭრის გზების მოძიების მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საია მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში უნდა აისახოს შემდეგი აქტივობები:

- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შრომითი მედიაციის სისტემის გაძლიერების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება;
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შრომითი მედიაციის სისტემის გაძლიერების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება;
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შრომის მედიატორების რაოდენობის გაზრდა და მათი სამუშაო პირობების გაუმჯობესება;
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შრომის მედიატორების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შრომით მედიაციებში ჩართულობისა და წარმატებული შრომითი მედიაციის შემთხვევების გაზრდა;
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შრომის მედიატორებთან რეგულარული სამუშაო შეხვედრებისა და დისკუსიების წარმართვა არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

ამ აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებად განისაზღვრება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტში შრომითი მედიაციის და სოციალური დიალოგის განვითარების მიმართულებით განსაზღვრულია 5 აქტივობა:

- კოლექტიური შრომითი დავების მედიატორთა გადამზადება (მინიმუმ 10 მედიატორი);
- ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე მოქმედი სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მიერ, შრომასა და მის თანმდევ ურთიერთობებში არსებული და რეგიონის წინაშე დასმული საკითხების განხილვის მიზნით, კომისიის სხდომის და სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ჩატარება (წელიწადში

მინიმუმ 1 შეხვედრა - კომისიის ღონეზე, წელიწადში მინიმუმ 2 შეხვედრა - სამუშაო ჯგუფის ღონეზე);

- სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისთვის მედიაციის შესახებ ყოველწლიური კონფერენციების და ფორუმების ჩატარება;
- სხვადასხვა მნიშვნელოვანი აქტივობის განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და დარგის პოპულარიზაციას;
- სხვადასხვა ორგანიზაციაში თანამშრომლებისთვის მედიაციის შესახებ ტრენინგების ჩატარება და მათი ინფორმირება, რაც, შრომითი კატეგორიის დავის არსებობის შემთხვევაში, ხელს შეუწყობს პრობლემის გადასაჭრელად მედიაციის გამოყენებას. ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვევს სასამართლო სისტემის განტვირთვას.

საია დადებითად აფასებს ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტში შრომითი დავების მედიატორების გადამზადების საკითხის ასახვას, თუმცა, მათი რაოდენობა (10 მედიატორი) მცირეა და, არსებული საჭიროებების გათვალისწინებით, სასურველია, გაიზარდოს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იყოს მედიატორთა შრომითი პირობებისა და მათ შორის კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი.

საია დადებითად აფასებს ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტში მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების, თაობაზე ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გათვალისწინებას. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ სამოქმედო გეგმაში დეტალურად იყოს გაწერილი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები და მათი შეფასების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორები.

საია დადებითად აფასებს ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტში მედიაციის შესახებ ტრენინგების ჩატარების ასახვას. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მასში გაიწეროს კონკრეტული ორგანიზაციები, თანამშრომელთა კატეგორიები და იმ გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა, რომლებსაც ეს ტრენინგები ჩაუტარდათ.

შესაბამისად, საია მიიჩნევს, რომ სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტის ეს ნაწილი საჭიროებს დახვეწას და გაუმჯობესებას, რაც გულისხმობს კონკრეტული აქტივობების განსაზღვრასა და გაზომვადი ინდიკატორების ჩამოყალიბებას. მიგვაჩნია, რომ საიას მიერ შეთავაზებული რეკომენდაციების გათვალისწინება უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის ამ ნაწილის გაუმჯობესებას.

1.4. შრომის უფლებების დაცვის სფეროში სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება

შრომითი უფლებების დაცვის მიმართულებით სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი მოიცავს შემდეგ ამოცანებს: ა) შრომის კანონმდებლობაზე არსებული საზედამხედველო მექანიზმების განვითარება და გაძლიერება; ბ) შრომის კანონ-

მდებლობის ეფექტიანი განხორციელებისთვის შესაფერისი პირობების შექმნა და შრომის ინსპექციის სამსახურის გაძლიერება.

საიამ ვერ შეძლო შრომითი მედიაციის მიმართულებით გაწერილი ამოცანების შეფასება, რადგან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ არ მოგვაწოდა ამ თემასთან დაკავშირებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა თითოეულ ამოცანასთან მიმართებით სამოქმედო გეგმისთვის საიას მიერ შეთავაზებული აქტივობების პრაქტიკაში განხორციელების საკითხი. იმის გათვალისწინებით, რომ კვლევის მიმდინარეობის პერიოდში ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტი არ იყო გამოქვეყნებული, საიამ მხოლოდ მის მიერ შეთავაზებული აქტივობების მონიტორინგი განახორციელა.

(1) შრომის კანონმდებლობაზე არსებული საზედამხედველო მექანიზმების განვითარება და გაძლიერება

შრომის კანონმდებლობაზე არსებული საზედამხედველო მექანიზმების განვითარების მონიტორინგი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ა) სამართლებრივი რეგულირების გაუმჯობესება და პრაქტიკული სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავება; გ) შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების სერტიფიცირება, სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების დასაქმება და შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებთან გამართული კომუნიკაცია.

შრომის კანონმდებლობაზე არსებული საზედამხედველო მექანიზმების სამართლებრივი რეგულირების გაუმჯობესება და პრაქტიკული სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავება - სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სამსახურის შექმნის დღიდან (2021 წლის 1-ლი იანვარი) შრომის კანონმდებლობაზე არსებული საზედამხედველო მექანიზმების სამართლებრივი რეგულირება გაუმჯობესდა როგორც შრომის უსაფრთხოების, ისე შრომითი უფლებების მიმართულებით.

მოწოდებული ინფორმაციით, შრომის უსაფრთხოების მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულია შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

- „სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1-ლი ივლისის №341 დადგენილება;
- „ტექნიკური რეგლამენტის – სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 სექტემბრის №457 დადგენილება;
- „ტექნიკური რეგლამენტის – სამუშაო სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 დეკემბრის №590 დადგენილება;

- „ტვირთის ხელით აწევისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 1-ლი მაისის №167 დადგენილება.

შრომითი უფლებების მიმართულებით მიღებულია ან/და ცვლილებები შვეიდა შედგე ნორმატიულ აქტებში:

- „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის №01-15/6 ბრძანება, რომლითაც დადგენილია სამუშაო დროის აღრიცხვის წესი და ფორმა;
- „ღამის სამუშაოზე წლიური სამუშაო დროის პროპორციული განაკვეთის განსაზღვრის და ღამის სამუშაოზე დასაქმებული პირისთვის წინასწარი (დასაქმებამდე) და შემდგომი პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარების პერიოდულობისა და ფარგლების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 7 სექტემბრის №01-79/6 ბრძანება, რომლითაც რეგულირდება ღამის სამუშაოზე დასაქმებული პირის სამედიცინო შემოწმების ჩატარების პერიოდულობა და ფარგლები;
- „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების ჩამონათვალის/ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 7 სექტემბრის №01-78/6 ბრძანება, რომლითაც განისაზღვრა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების ჩამონათვალი;
- „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2022 წლის 27 დეკემბრის №598 დადგენილებით განხორციელებული ცვლილებები, რომლითაც განისაზღვრა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულ სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებულთათვის (კერძოდ, ექიმი და ექთანი) შრომის ანაზღაურების მინიმალური საათობრივი ოდენობა.

ამ დადგენილების თანახმად, ექიმის მინიმალური საათობრივი ანაზღაურება განისაზღვრა საათში არანაკლებ 7 ლარის, ხოლო ექთნისთვის - საათში არანაკლებ 4.4 ლარის ოდენობით. ამასთანავე, ამავე დადგენილების შესაბამისად, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართული სამედიცინო დაწესებულებისთვის გაიწერა ვალდებულება, რომ 2023 წლის პირველი იანვრიდან ექიმებისა და ექთნების შრომით ხელშეკრულებებში შევიდეს ჩანაწერი მინიმალური საათობრივი ანაზღაურების თაობაზე. ამავე დადგენილებით განისაზღვრა ზემოხსენებული ვალდებულების შესრულების მაკონტროლებელი უწყებები. ისინი ზედამხედველობას გაუწევენ როგორც დასაქმებულთა შრომითი ნორმებისა და შრომით ხელშეკრულებაში ინფორმაციის ასახვის ვალდებულების შესრულებას, ასევე, სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში დასაქმებულთა შესახებ მონაცემების განთავსებას.

- „საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის აგვისტოს №292 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის სერტიფიცირების წესი და საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის სერტიფიცირების პირობებთან ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობისა და შემოწმების აქტი.

მნიშვნელოვანია, რომ შრომის კანონმდებლობაზე არსებული საზედამხედველო მექანიზმების გაძლიერების მიზნით, გაგრძელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ღირეუტეობებთან, ასევე დამატებით უზრუნველყოფილი იყოს შრომითი უფლებების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილ სტანდარტებთან.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების სერტიფიცირება, სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების დასაქმება და შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებთან გამართული კომუნიკაცია - სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურიდან მოწოდებული ინფორმაციით, სამსახურთან არსებული აკრედიტაციის კომისიის მიერ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის სტატუსი მინიჭებული აქვს 23 ორგანიზაციას, რომელთა ჩამონათვალი გამოქვეყნებულია სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე.²⁴

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის №01-25/ნ ბრძანებით დამტკიცებული „შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობის, განხორციელების წესისა და პირობების“ შესაბამისად არსებობს:

- აკრედიტებული სპეციალური პროგრამა, რომელიც განკუთვნილია შრომის უსაფრთხოების საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელი პირისთვის;
- სრული აკრედიტებული პროგრამა, რომელიც, ამ წესით დადგენილი ყველა სავალდებულო მოდულის გავლისა და სათანადო გამოცდის ჩაბარების შედეგად, ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობას ნებისმიერი სექტორული მიმართულებით;
- აკრედიტებული პროგრამა დაბალი და საშუალო რისკის ობიექტებზე, რომელიც ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომზადებას ყველა სექტორში, გარდა „მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის №381 დადგენილებით განსაზღვრული სამუშაოების ჩამონათვალისა.

²⁴ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციები; [nb. https://lio.moh.gov.ge/education.php?lang=1&uid=202301081910587115231386](https://lio.moh.gov.ge/education.php?lang=1&uid=202301081910587115231386).

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ აკრედიტებული სასწავლო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ სწავლებას 2 მიმართულებით: სრული აკრედიტებული პროგრამა, აკრედიტებული პროგრამა დაბალი და საშუალო რისკის ობიექტებზე.

მოწოდებული ინფორმაციით, 2023 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით, 2465 სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტია, მათ შორის: დაბალი და საშუალო რისკის ობიექტების მიმართულებით - 159 პირი, სპეციალური პროგრამის მიმართულებით - 88 პირი და სრული აკრედიტებული პროგრამის მიმართულებით - 2218 პირი. სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის ეფექტიანი მართვის მიზნით, შექმნილი აქვს ელექტრონული პროგრამა, რომელშიც ასახულია შესაბამისი მონაცემები.

მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის №01-25/6 ბრძანებით დამტკიცებული „შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობის, განხორციელების წესისა და პირობების“ 1-ლი მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, გარდა ამ წესით დადგენილისა, პირს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის კვალიფიკაცია ასევე შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, პროფესიული ან/და უმაღლესი განათლების ფარგლებში განხორციელებული ისეთი სასწავლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაშიც (გარდა, ფორმალური განათლების ფარგლებში შემუშავებული პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი, 1 წელზე მცირე პროგრამებისა), რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების დაცვასთან. საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს №96/ნ ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პროფესიული ან/და უმაღლესი განათლების ფარგლებში განხორციელებული ისეთი საგანმანათლებლო პროგრამები/კვალიფიკაციები, რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვთ სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების დაცვასთან. იმ პირთა რაოდენობა, რომელთა უმაღლესი ან/და პროფესიული განათლების კვალიფიკაციას პირდაპირი კავშირი აქვს სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების დაცვასთან, შეადგენს 10-ს. დამატებითი ინფორმაცია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის თაობაზე ხელმისაწვდომია საჯაროდ, სამსახურის მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის ბლოკში.²⁵

მოწოდებული ინფორმაციით, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ, სამსახურის შექმნის დღიდან, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებთან ჩატარდა 5 სამუშაო/საინფორმაციო შეხვედრა, მათ შორის:

²⁵ იხ. <https://lio.moh.gov.ge/accreditation.php?lang=1&page=1>.

- 2022 წლის 11 და 13 აპრილს გაიმართა შეხვედრა „შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობის, განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 13 ოქტომბრის №01-25/ნ ბრძანებაში შესული ცვლილებების გაცნობის მიზნით.
- 2022 წლის 28 ივლისს, ევროკავშირის დაძმობილების პროექტის ფინანსური მხარდაჭერით, ქ. თბილისში გაიმართა მასშტაბური შეხვედრა შრომის კანონმდებლობაში შესული ცვლილებების, მათ შორის, ახლად მიღებული ტექნიკური რეგლამენტების გაცნობის მიზნით.
- 2022 წლის 10 ნოემბერს - ქ. ქუთაისში და ამავე წლის 11 ნოემბერს - ქ. ბათუმში გაიმართა შეხვედრები შრომის კანონმდებლობაში შესული ცვლილებების გაცნობის მიზნით.

მნიშვნელოვანია, რომ სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურმა უზრუნველყოს იმ სფეროების იდენტიფიცირება, სადაც შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტების რაოდენობა მცირეა და ხელი შეუწყოს შესაბამისი პროგრამების შემუშავებას, ასევე, კონკრეტულ სფეროებში სერტიფიცირებული სპეციალისტების რაოდენობის გაზრდას. გარდა ამისა, შრომის უსაფრთხოების სფეროში ერთიანი სტანდარტების ჩამოყალიბების მიზნით, სასურველია, რომ სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურმა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებთან გამართოს თემატური სამუშაო შეხვედრები და დისკუსიები პრაქტიკაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

(2) შრომის კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელებისთვის შესაფერისი პირობების შექმნა და შრომის ინსპექციის სამსახურის გაძლიერება

შრომის კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელებისთვის შესაფერისი პირობების შექმნისა და შრომის ინსპექციის სამსახურის გაძლიერებისთვის გადადგმული ნაბიჯების მონიტორინგი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ა) შრომის ინსპექციის სამსახურის ადამიანური რესურსების გაძლიერება, განსაკუთრებით, შრომის ინსპექტორების რაოდენობის გაზრდა; ბ) შრომის ინსპექტორების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, განსაკუთრებით თემატური ტრენინგებისა და პროფესიული უნარების განვითარების გზით; გ) შრომის ინსპექციის სამსახურის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების გაზრდა; დ) სამსახურის მიერ განხორციელებული შრომის ინსპექტირებებისა და შემოწმებული მოქმედი სუბიექტების პროცენტული მაჩვენებლის გაზრდა.

შრომის ინსპექციის სამსახურის ადამიანური რესურსების გაძლიერება, განსაკუთრებით, შრომის ინსპექტორების რაოდენობის გაზრდა - მოწოდებული ინფორმაციით, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურში შრომის ინსპექტირების მიმართულებით (შრომის ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირები, უფროსი შრომის ინსპექტორი/შრომის ინსპექტორი) გათვალისწინებულია 123 სამტატო ერთეული. აქედან 109 ერთეულით განსაზღვრულია უშუალოდ უფროსი შრომის ინსპექტორების/შრომის

ინსპექტორების რაოდენობა. გარდა ამისა, შრომით უფლებებზე ზედამხედველობის მიმართულებით გათვალისწინებულია - 43 სამტატო ერთეული, ხოლო შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის მიმართულებით - 66 სამტატო ერთეული. მოწოდებული ინფორმაციით, 2023 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურში დასაქმებულია 91 უფროსი შრომის ინსპექტორი/შრომის ინსპექტორი, რომელთაგან შრომითი უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტში მუშაობს 36 პირი, ხოლო, შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის დეპარტამენტში - 55 პირი.

მნიშვნელოვანია, რომ სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურმა სრულად გამოიყენოს მისთვის განსაზღვრული სამტატო ერთეულები და შეარჩიოს შრომის ინსპექტორები ვაკანტურ პოზიციებზე, როგორც შრომის უსაფრთხოების, ასევე შრომით უფლებებზე ზედამხედველობის დეპარტამენტებში. გარდა ამისა, სასურველია, რომ შრომის ინსპექციის სამსახურმა უზრუნველყოს შრომის ინსპექტორებისთვის განსაზღვრული სამტატო ერთეულების პერმანენტული ზრდა, რათა მათი რაოდენობა პასუხობდეს ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების ზედამხედველობის სფეროში. ამის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გაითვალისწინონ სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის საჭიროებები სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისა და დამტკიცების პროცესში.

შრომის ინსპექტორების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, განსაკუთრებით თემატური ტრენინგებისა და პროფესიული უნარების განვითარების გზით - მოწოდებული ინფორმაციით, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური, შექმნის დღიდან (2021 წლის 1-ლი იანვარი), უზრუნველყოფს სამსახურის თანამშრომლებისა და შრომის ინსპექტორების პროფესიულ გადამზადებას როგორც შიდა რესურსით, ასევე საერთაშორისო დონორული მხარდაჭერით. მოწოდებული ინფორმაციით, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომლების პროფესიული განვითარების ტრენინგები მრავალფეროვან თემატიკას მოიცავს, მათ შორის: ა) შრომის ინსპექციის სამსახურის მანდატი და უფლებამოსილებები; ბ) შრომის კანონმდებლობის სიახლეები და მასთან დაკავშირებული თემატური საკითხები, როგორებიცაა სამუშაო ადგილზე დისკრიმინაცია და სექსუალური შევიწროება, შრომითი მიგრაცია, იძულებითი შრომა და შრომითი ექსპლუატაცია, არასრულწლოვანთა და ბავშვთა შრომა; გ) პროფესიული უნარების გაძლიერება, როგორიცაა კეთილსინდისიერება, ეფექტიანი კომუნიკაცია და სხვ. სამსახურის სტრუქტურულ დონეზე გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა, ტრენინგის განხორციელების თარიღისა და თემატიკის შესაბამისად, წარმოდგენილია დანართი 4-ში.

მნიშვნელოვანია, რომ სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურმა განახორციელოს საკუთარი თანამშრომლების პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევა, შეიმუშაოს მათი პროფესიული განვითარების წლიური გეგმები და უზრუნველყოს ამ მიმართულებით არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილება როგორც საკუთარი რესურსებით, ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით.

შრომის ინსპექციის სამსახურის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების გაზრდა - მოწოდებული ინფორმაციით, სსიპ შრომის ინ-

სპექციის სამსახურმა 2023 წლის 27 ივნისს მთავარი შრომის ინსპექტორის №LIO 0 23 00000500 ბრძანებით დაამტკიცა შრომის ინსპექციის სამსახურის კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2023-2026 წწ). დოკუმენტი მოიცავს სამ პრიორიტეტულ მიმართულებას. ესენია: სამსახურის გამჭვირვალობის, მისი ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების გაზრდა. თითოეული მიმართულებით განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები: ა) სამსახურის საქმიანობის თაობაზე საზოგადოებრივი ცნობიერების და ნდობის ამაღლება; ბ) საჯარო ინფორმაციის გავრცელება და პროაქტიული გამოქვეყნება; გ) ელექტრონული მმართველობის სისტემის გაუმჯობესება; დ) ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება; ე) ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენა და პრევენცია; ვ) ეთიკური გარემოს შექმნა.

მნიშვნელოვანია, რომ სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურმა უზრუნველყოს სამსახურის კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების სრულყოფილად შესრულება და ეფექტიანი იმპლემენტაცია.

მოწოდებული ინფორმაციით, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური შრომითი ნორმების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით ინტენსიურ რეჟიმში ახორციელებს არაერთ აქტივობას. მიზნობრივი ჯგუფების გათვალისწინებით ჩატარებული სამუშაო შეხვედრებისა და მათი თემატიკის თაობაზე ინფორმაცია ასახულია 2021-2022 წლების საქმიანობის ანგარიშებში.²⁶ მოწოდებული ინფორმაციით, 2023 წლის 9 თვის საანგარიშო პერიოდისთვის შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შრომითი ნორმებისა და მიმდინარე საკანონმდებლო სიახლეების შესახებ ჩატარდა 35 საინფორმაციო შეხვედრა (1560-მდე პირისთვის), მათ შორის, ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების მიზნით. გაიმართა 6 შეხვედრა, რომლებზეც ახალგაზრდები გაეცნენ სამსახურის მანდატს, საკანონმდებლო სიახლეებსა და შრომის უფლებების, მათ შორის, შრომის უსაფრთხოების ძირითად პრინციპებს. შეხვედრებს ესწრებოდა 300-მდე სტუდენტი. გარდა ამისა, მინიმალური საათობრივი ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით სადისკუსიო ფორმატში გაიმართა 7 შეხვედრა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ჩართული კლინიკების 300-მდე წარმომადგენელთან.

მოწოდებული ინფორმაციით, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურმა 2022 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საკომუნიკაციო არხების შექმნისა და მართვის მიმართულებით, კერძოდ: გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით და საქართველოს პროგრესული ფორუმის ჩართულობით შეიქმნა: ა) შრომის ინსპექციის სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი - 15 75; ბ) შრომის ინსპექციის სამსახურის ვებგვერდი - www.lio.ge; გ) საზოგადოებაში შრომის უსაფრთხოებისა და შრომის უფლებების დაცვის ცნობიერების ამაღლების მიზნით, საინფორმაციო-განმარტებითი და შრომის საკანონმდებლო აქტების ვებგვერდი - www.shromisleksikoni.ge. აღსანიშნავია, რომ ეს ვებგვერდები, სსიპ ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს მხარდაჭერით, ინტეგრირებულია სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდში.²⁷

²⁶ იხ. <https://lio.moh.gov.ge/report.php?lang=1&id=2>.

²⁷ იხ. <https://lio.moh.gov.ge>.

მნიშვნელოვანია, რომ სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურმა შრომის უსაფრთხოებასა და შრომითი უფლებების თაობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, განაგრძოს აქტიური საინფორმაციო კამპანია და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობაზე. ასევე, სასურველია, რომ სამსახურმა უზრუნველყოს შრომის ბაზარზე განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების ინფორმირება მათი უფლებების შესახებ, მათ შორისაა: ეროვნული და სექსუალური უმცირესობები, ქალები, ბავშვები და ხანდაზმულები, არაფორმალურ სექტორში დასაქმებული პირები.

სამსახურის მიერ განხორციელებული შრომის ინსპექტირებებისა და შემოწმებული მოქმედი სუბიექტების პროცენტული მაჩვენებლის გაზრდა - მოწოდებული ინფორმაციით, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელებული გეგმური და არაგეგმური ინსპექტირებების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, რის შესახებაც ინფორმაცია ასახულია სამსახურის ყოველწლიურ ანგარიშებში და გამოქვეყნებულია სამსახურის ვებგვერდზე სტატისტიკური ინფორმაციის ბლოკში.²⁸

მოწოდებული ინფორმაციით, 2023 წლის საანგარიშო პერიოდში შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის მიმართულებით გეგმურად შესამოწმებელი ობიექტების რაოდენობა შეადგენს 1573-ს. ამასთანავე, 2023 წლის 1-ლი იანვრიდან 2023 წლის 27 სექტემბრამდე განხორციელდა: 851 გეგმური პირველადი ინსპექტირება; 324 არაგეგმური პირველადი ინსპექტირება; 1105 გადამოწმება (გეგმურად და არაგეგმურად განხორციელებული პირველადი ინსპექტირებების შესაბამისად). ხოლო, 2023 წლის საანგარიშო პერიოდში შრომითი უფლებების ზედამხედველობის მიმართულებით გეგმურად შესამოწმებელი ობიექტების რაოდენობა შეადგენს 550-ს. ამასთანავე, 2023 წლის 1-ლი იანვრიდან დღემდე განხორციელდა: 441 გეგმური პირველადი ინსპექტირება; 486 არაგეგმური პირველადი ინსპექტირება; 1234 გადამოწმება (გეგმურად და არაგეგმურად განხორციელებული პირველადი ინსპექტირებების შესაბამისად).

მნიშვნელოვანია, რომ სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურმა შეაფასოს შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების ზედამხედველობის მიმართულებით მოწყვლადი სფეროები, ხელი შეუწყოს ამ სფეროებში განსახორციელებელი გეგმური ინსპექტირებების რაოდენობის გაზრდას და უზრუნველყოს დასაქმებული პირების ცნობიერების ამაღლება შრომის ინსპექციის სამსახურში ინდივიდუალური საჩივრების წარდგენის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ შრომითი უფლებების კუთხით სტრატეგიაში მითითებულმა პასუხისმგებელმა საჯარო დაწესებულებებმა უნდა გააუმჯობესონ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტით აღებული ვალდებულებები როგორც შინაარსობრივი, ისე შეფასების ინდიკატორების მიმართულებით. გარდა ამისა, საჭიროა, რომ საჯარო დაწესებულებებმა გადადგან ქმედითი ნაბიჯები ამ ვალდებულებების პრაქტიკაში იმპლემენტაციისთვის.

²⁸ იხ. <https://lio.moh.gov.ge/stat.php?lang=1&id=202212271826086439640835>.

2. გარემოს დაცვის უფლება

2.1. შესავალი

ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის მეორე პრიორიტეტი მოიცავს გარემოს დაცვის უფლებასაც. სტრატეგიის მიზანია ამ კუთხით ადამიანის უფლების დაცვისა და უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესება. სტრატეგიის თანახმად, გარემოს დაცვის უფლების რეალიზება პრაქტიკაში გამოწვევად რჩება. შესაბამისად, ამ პრობლემასთან გასამკლავებლად სახელმწიფომ უნდა გაატაროს არაერთი ღონისძიება და განამტკიცოს გარემოს დაცვის უფლების ხელშეწყობი ეროვნული მექანიზმები.

ამ მიზნის მისაღწევად, სტრატეგია განსაზღვრავს შემდეგ ამოცანებს:

- (ა) საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და განხორციელების უზრუნველყოფა, მათ შორის, საერთაშორისო გარემოსდაცვითი ნორმებისა და სტანდარტების დანერგვა;
- ბ) გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ფართო საზოგადოების დროულად წვდომის უზრუნველყოფა; გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესის საჯაროობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული პირების მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესება;
- გ) სუფთა ჰაერსა და ხარისხიან სასმელ წყალზე წვდომის მუდმივად გაუმჯობესება;
- დ) ნარჩენების მართვა ადამიანის ცხოვრებისთვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად;
- ე) გარემოსდაცვით სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად;
- ვ) გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

სტრატეგია აყალიბებს მიზნების მიღწევის შეფასების ძირითად ინდიკატორებს, როგორებიცაა:

- საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისობის მაჩვენებელი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;
- ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებული მაჩვენებლები (ქალაქების მიხედვით);
- სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის მზარდი მაჩვენებელი (ზოგადი და რეგიონების მიხედვით).

2.2. გარემოს დაცვის უფლების დაცვის სფეროში სტრატეგიის დაგეგმვისა და განსაზღვრის შეფასება

ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტი კონკრეტულად გარემოს დაცვის უფლების კუთხით არ უთითებს ამ უფლების ფარგლებში დადგენილი

ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის საფუძვლებს. შესაბამისად, არ არის ნათელი, რამდენად განხორციელდა გარემოს დაცვის სფეროში არსებული პრობლემების სიტუაციური ანალიზი და სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანები დაეფუძნა თუ არა შესაბამის მიგნებებს. ამასთანავე, მითითებული არ არის, გამოყენებულია თუ არა საერთაშორისო ან ადგილობრივი ორგანიზაციების კვლევები და ანგარიშები, რომლებიც გარემოს დაცვის სფეროში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების იდენტიფიცირებისთვის იქნებოდა საჭირო. მითითებული არაა გარემოს დაცვის სფეროში არსებული და მასთან დაკავშირებული სახელმწიფო უწყებების მონაწილეობისა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული კონსულტაციების ხარისხი, მათ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები და მათი გათვალისწინების მაჩვენებელი.

ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიაში გარემოს დაცვის უფლების დაცვის გასაძლიერებლად ჩამოყალიბებული ამოცანების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია, მივიჩნიოთ, რომ მასში სათანადოდ არ არის გათვალისწინებული ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები, მათ შორის, გენდერული და სოციალური ინკლუზიის პერსპექტივები, მაშინ, როდესაც, შესაძლოა, გარემოსდაცვითი პრობლემების მიმართ განსხვავებული იყოს ცალკეულ პირთა თუ ჯგუფთა მოწყვლადობა, მათ შორის, ქალების, ბავშვების, შშმ პირების თუ სხვათა საჭიროებები.

ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიაში გარემოს დაცვის უფლების რეალიზების გაძლიერების მიმართულებით შემოთავაზებული ამოცანები, გარკვეულწილად, ასახავს ქვეყანაში არსებულ საჭიროებებს, მათ შორის, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და განხორციელება, გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებებით ეფექტიანი სარგებლობის უზრუნველყოფა, სუფთა ჰაერისა და ხარისხიან სასმელ წყალზე წვდომის გაუმჯობესება, ნარჩენების მართვა და გარემოს დაცვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამოცანები ძალიან ზოგადი ხასიათისაა, რაც ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა სამოქმედო გეგმაში კონკრეტული აქტივობების ჩამოყალიბებისა და ამოცანის მიღწევის შედეგების შეფასების კუთხით. ამან, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა მოახდინოს სტრატეგიული პრიორიტეტის მიღწევასა და შესრულების შეფასებაზე. სასურველი იყო ამოცანების უფრო კონკრეტულად გაწერა, რათა სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსახორციელებელ აქტივობებს ჰქონოდა ამბიციური ხასიათი და არ მოიცავდეს ამა თუ იმ დაკავშირებული სახელმწიფო უწყების მიერ თავისი საქმიანობის ფარგლებში ისედაც დაგეგმილ აქტივობებს.

არსებითი პრობლემაა ის, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია ყურადღების მიღმა ტოვებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა კლიმატის ცვლილება. შესაძლოა, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები ინტეგრირებული იყოს საქართველოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ამოცანის ფარგლებში და პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდებოდეს სხვა ამოცანებსაც, მათ შორის, ჰაერის ხარისხისა თუ ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებას. თუმცა, კლიმატის ცვლილება, თავისი მნიშვნელობისა და ადამიანის სხვადასხვა უფლებაზე უდიდესი ზეგავლენის გათვალისწინებით, აუცილებლად

ცალკე, ერთ-ერთ ძირითად, პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა ყოფილიყო გამოყოფილი.

კლიმატის ცვლილების კუთხით არაერთი ვალდებულება იკისრა საქართველომ გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებით და მის ფარგლებში მიღებული პარიზის ხელშეკრულებით. იმის გათვალისწინებით, რომ დღითიდღე მზარდია საქართველოს სხვადასხვა რეგიონის, სექტორისა თუ პირთა ჯგუფის მოწყვლადობა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების, მათ შორის, გახშირებული და გამძაფრებული ბუნებრივი კატასტროფების მიმართ, უმნიშვნელოვანესია, რომ ეს მიმართულება სათანადოდ ყოფილიყო ასახული ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიაშიც. ყურადღების მიღმა დარჩენილი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასთან დაკავშირებული საკითხიც, რაც, ასევე, უშუალოდ უკავშირდება ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას და ხშირად უგულებელყოფილი და ხელყოფილია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული, ენერგეტიკული თუ სხვა პროექტის განხორციელების დროს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიაში გარემოს დაცვის უფლების რეალიზების გაძლიერების მიმართულების ჩამოყალიბების დროს სათანადოდ არ გაანალიზებულა ამ სფეროში არსებული ანალიტიკური დოკუმენტები. ასევე, არ იყო უზრუნველყოფილი გარე დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, გარემოს დაცვის უფლების საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა სტრატეგიული ამოცანების სრულყოფილად და მრავლისმომცველად ჩამოყალიბებაზე.

რაც შეეხება ინდიკატორებს, რომელთა მიხედვითაც უნდა შეფასდეს დასახულ ამოცანათა შესრულება, სტრატეგიაში ისინი შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

- 1) საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისობის მაჩვენებელი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;
- 2) ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებული მაჩვენებლები (ქალაქების მიხედვით);
- 3) სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის მზარდი მაჩვენებელი (ზოგადი და რეგიონების მიხედვით).

უპირველეს ყოვლისა, პრობლემურია, რომ ინდიკატორები განსაზღვრულია მხოლოდ და მხოლოდ ორი ამოცანისთვის - (1) საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და განხორციელების უზრუნველყოფა, მათ შორის, საერთაშორისო გარემოსდაცვითი ნორმებისა და სტანდარტების დანერგვა; (2) სუფთა ჰაერსა და ხარისხიან სასმელ წყალზე წვდომის მუდმივად გაუმჯობესება. დანარჩენი 4 ამოცანისთვის შესაბამისი ინდიკატორები განსაზღვრული არ არის. შესაბამისად, გაუგებარია, როგორ უნდა შეფასდეს, მიიღწევა თუ არა დასახული ამოცანები.

მეორე მხრივ, პრობლემურია განსაზღვრული ინდიკატორებიც. ისინი მეტად კონკრეტული უნდა იყოს და ამოცანის სხვადასხვა პერსპექტივიდან შეფასების საშუალებას იძლეოდეს.

საბოლოოდ, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ თითოეული ამოცანისთვის ჩამოყალიბებული ინდიკატორები სათანადოდ არ არის განსაზღვრული. ისინი უნდა ყოფილიყო მეტად ნათელი, განჭვრეტადი და გაზომვადი.

გარემოს დაცვის უფლების მიმართულებით სტრატეგიის ამოცანების ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩამოყალიბებული ამოცანები სრულად ვერ პასუხობს ქვეყანაში გარემოს დაცვის სფეროში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს, ყურადღების მიღმა ტოვებს კლიმატის ცვლილებასა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საჭიროებასთან დაკავშირებულ საკითხებს და არ ითვალისწინებს გარემოს დაცვის უფლების გენდერულ და სოციალურ ასპექტებს. შესაბამისად, სტრატეგიაში გარემოს დაცვის კუთხით არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად, სასურველია, მასში გათვალისწინებული ამოცანები ფართოდ განიმარტოს და სამოქმედო გეგმაში განისაზღვროს კონკრეტული აქტივობები, რომლებიც მიმართული იქნება იმ გამოწვევებისა და პრობლემების გადაჭრისკენ, რომლებიც ამ ეტაპზე სტრატეგიაში ასახული არ არის. პრობლემურია სტრატეგიაში ჩამოყალიბებული ინდიკატორებიც. ისინი მეტად ნათელი, განჭვრეტადი და გაზომვადი უნდა ყოფილიყო და ყველა ამოცანისთვის ცალ-ცალკე განსაზღვრულიყო.

2.3. გარემოს დაცვის უფლების რეალიზების გაძლიერების მიზნით ჩამოყალიბებული ამოცანების შეფასება

კვლევის ფარგლებში შეფასებულია ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის მიერ გარემოს დაცვის უფლების რეალიზების გაძლიერების მიზნით ჩამოყალიბებული ამოცანების ფარგლები და შემოთავაზებულია თითოეული ამოცანის მიზნების მისაღწევად სამოქმედო გეგმაში გასათვალისწინებელი აქტივობების ჩამონათვალი შესაბამისი დასაბუთებით.

(1) საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და განხორციელების უზრუნველყოფა, მათ შორის, საერთაშორისო გარემოსდაცვითი ნორმებისა და სტანდარტების დანერგვა

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისა და განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში შეასრულოს ნაკისრი ვალდებულები და, შესაბამისი დირექტივების იმპლემენტაციის მიზნით, მიიღოს კონკრეტული კანონები.²⁹ ამ ვალდებულებათა ნაწილი ამ ეტაპამდე შეუსრულებელი რჩება.

²⁹ „ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის [2014] OJ L 261/4, მე-3 თავი.

რაც შეეხება უკვე მიღებულ კანონებს, როგორიცაა, მაგალითად, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, გარდა იმისა, რომ ის, გარკვეულწილად, ხარვეზიანია, პრობლემურია მისი პრაქტიკაში აღსრულებაც, რაც დაკავშირებულია ამ კანონით განსაზღვრული პროცედურების დარღვევასა და გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებებით სარგებლობის არასათანადო უზრუნველყოფასთან. ამასთანავე, ამ კანონში შესული უახლესი ცვლილებების მიხედვით, მის აღსრულებაზე პასუხისმგებლობა გადავიდა გარემოს ეროვნულ სააგენტოზე, რასთან დაკავშირებითაც სამოქალაქო სექტორის მოსაზრებები და შენიშვნები გათვალისწინებული არ ყოფილა.³⁰ კონკრეტულად, სამოქალაქო საზოგადოება უარყოფითად აფასებდა ცვლილებას, ვინაიდან იზრდებოდა კორუფციის რისკები. ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მიერ დასმულ კითხვებსა და წამოჭრილ პრობლემებს სათანადოდ დასაბუთებული, კვლევებით განმტკიცებული პასუხები არ გაეცა და ცვლილება მაინც შევიდა ძალაში. დაინტერესებული პირებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში შინაარსობრივი და ეფექტიანი ჩართულობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა კი საქართველოს კონსტიტუციითა³¹ და ორჰუსის კონვენციით განსაზღვრული ვალდებულებაა.³² ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოები სათანადოდ ასრულებდნენ ამ ვალდებულებას და გადაწყვეტილებები მიიღებოდეს დასაბუთებულად და გამჭვირვალედ.

პრობლემები ვლინდება ასევე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის განხორციელებაზე და კანონმდებლობის აღსრულებაზე პასუხისმგებელი პირების საქმიანობაში, რისთვისაც აუცილებელია ამ უწყებების აღჭურვა შესაბამისი ცოდნით, უნარებით, საჭირო ადამიანური, მატერიალური და ტექნოლოგიური რესურსებით, ასევე, მათ საქმიანობაში კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვა.³³

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საია მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ასახული უნდა იყოს შემდეგი აქტივობები:³⁴

³⁰ საია, „არასამთავრობო ორგანიზაციები და დარგის ექსპერტები უარყოფითად აფასებენ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ შეტანილ ცვლილებებს“ (28.03.2020), ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/fisxG>, ბოლო ნახვა: 14.11.2023.

³¹ საქართველოს კონსტიტუცია, 29-ე მუხლი.

³² „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენცია (30 ოქტომბერი 2001), მე-6 მუხლი; საია, „გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებები“ (2021) 15-18, ხელმისაწვდომია: <https://gylla.ge/files/2020/GetFileAttachment-13.pdf>, ბოლო ნახვა: 14.11.2023.

³³ საია, „გარემოს დაცვის სისხლისსამართლებრივი რეგულირება“ (2022), 8-10, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/AFPR7>, ბოლო ნახვა: 14.11.2023; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, „2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (NEAP) (2022), 24, ხელმისაწვდომია: <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/34047>, ბოლო ნახვა: 10.11.2023.

³⁴ დამატებითი ინფორმაცია შემოთავაზებულ აქტივობათა პრაქტიკაში განხორციელების საკითხთან დაკავშირებით იხილეთ 2.4. თავის (1) პუნქტში.

- საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ქვეშ გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების კუთხით გათვალისწინებული ღირებულებების დანერგვა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განსაზღვრულ ვადებში;
- საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში გარემოს დაცვის კუთხით ქვეყანაში მიღებული კანონმდებლობის, მათ შორის, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსისა და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კანონის სათანადო აღსრულება;
- საქართველოს მიერ კლიმატის ცვლილების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების, მათ შორის, პარიზის შეთანხმების ქვეშ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შემუშავებასა და აღსრულებაზე პასუხისმგებელი საჯარო უწყებების ინსტიტუციური გაძლიერება, შესაბამისი ადამიანური, ფინანსური და ტექნოლოგიური რესურსებით აღჭურვა;
- კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვა. მათ შორის, შესაბამისი საჯარო უწყებების ანგარიშვალდებულების სისტემებისა და მათი საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისა და განხორციელების უზრუნველყოფის, მათ შორის, საერთაშორისო გარემოსდაცვითი ნორმებისა და სტანდარტების დანერგვის კუთხით, შემოთავაზებულია მხოლოდ ორი აქტივობა:

- მომწესრიგებელ სამართლებრივ აქტებში ნაკლოვანებების იდენტიფიცირება/მოწესრიგება, ამ სფეროებში გარემოს დაცვის მექანიზმების, ადამიანის უფლებების მიდგომების გაუმჯობესება/დანერგვა;
- „ქიმიური ნივთიერებების და ნარევების შესახებ“ კანონის პროექტის შემუშავება.

მისასალმებელია, რომ იგეგმება უკვე არსებულ კანონმდებლობაში ხარვეზების გამოსწორება და ქიმიური ნივთიერებებისა და ნარევების შესახებ კანონპროექტის შემუშავება. ყველა დაინტერესებული პირისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში შინაარსობრივი მონაწილეობის შესაძლებლობის მიცემის შემთხვევაში, ეს წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება გარემოს დაცვის სფეროში.

თუმცა, უკვე არსებულ კანონმდებლობაში ხარვეზების გამოსწორებისა და მხოლოდ ერთი კანონის პროექტის მიღება, საკმარისი არ იქნება საქართველოს მიერ გარემოს დაცვის სფეროში ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და ეფექტიანად შესასრულებლად. ამასთანავე, აქტივობების ნაწილში კვლავ ყურადღების მიღმა რჩება კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფებისა თუ სხვა საფრთხეებისგან პირთა დაცვის მიმართულებით სა-

ჭირო კანონმდებლობის, შესაბამისი გეგმების და პოლიტიკის დოკუმენტების მიღების აუცილებლობა. ყურადღება არ მახვილდება არსებული კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულების საჭიროებაზე, რაც, სხვა ვალდებულებებთან ერთად, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ერთ-ერთი ვალდებულებაა.

ამასთანავე, ბუნდოვანია ჩანაწერი გარემოს დაცვის მექანიზმების, ადამიანის უფლებების მიდგომების გაუმჯობესებისა და დანერგვის შესახებ. აქტივობები უნდა იყოს კონკრეტული ხასიათის და შესაძლებელი იყოს ამოცანის შესრულების გაზომვა შესაბამისი ინდიკატორების მითითებით. ამ შემთხვევაში კი, აქტივობების ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, რთული იქნება იმის შეფასება, რამდენად შესრულდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანა.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იყოს საიას რეკომენდაციები და დამატებით გაიწეროს შემოთავაზებული აქტივობები.

(2) გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ფართო საზოგადოების დროულად წვდომის უზრუნველყოფა; გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესის საჯაროობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული პირების მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესება

გარემოსდაცვით ინფორმაციასთან დაკავშირებით პრობლემები ვლინდება როგორც უშუალოდ ამ ინფორმაციის შეგროვების და დამუშავების, ასევე, მათი საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ეტაპებზე. განსაკუთრებით პრობლემური იყო ამ უფლებით სათანადოდ სარგებლობა ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტთან დაკავშირებულ პროცესებში. ერთი მხრივ, არ არსებობდა სათანადო კვლევები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა შეფასებულიყო პროექტის გავლენა ადამიანსა და გარემოზე, მეორე მხრივ კი, დაინტერესებული პირები დაბრკოლებებს აწყდებოდნენ არსებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კუთხითაც.

პრობლემები ვლინდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მხრივაც. ხშირად მონაწილეობას აქვს ფორმალური ხასიათი და იმგვარად არის ორგანიზებული, რომ დაბრკოლებები ექმნებათ დაინტერესებულ პირებს, დაესწრონ საჯარო განხილვებს. ეს განსაკუთრებით ვლინდებოდა ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტთან დაკავშირებულ პროცესებში.

პრობლემურია საზოგადოების შინაარსობრივი მონაწილეობა კანონმდებლობის შემუშავების დროსაც. ხშირად მათი მოსაზრებები არ არის სათანადოდ გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ჩართულობას აქვს მხოლოდ ფორმალური ხასიათი. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში იმ ცვლილების შეტანის დროს, რომლითაც მოხდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების დელეგირება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საია მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ასახული უნდა იყოს შე-

- საქართველოს კანონმდებლობითა და ორჰუსის კონვენციით განსაზღვრული გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებებით სათანადოდ სარგებლობის უზრუნველყოფა;
- გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება;
- გარემოს მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი და სათანადო კვლევების წარმოება;
- ინფორმაციის შეგროვებისა და მიმოცვლის კუთხით საჯარო უწყებების ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესება, ერთიანი საინფორმაციო ბაზების შექმნა;
- ინფორმაციის შეგროვების, შესაბამისი კვლევების წარმოების კუთხით სხვადასხვა სექტორის შორის თანამშრომლობის გაძლიერება;
- გარემოსდაცვითი ინფორმაციის პროაქტიული საჯარო გამოქვეყნება, რათა დაინტერესებულმა პირებმა მარტივად და დროულად შეძლონ საჭირო ინფორმაციის მიღება;
- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის შემთხვევაში, ამ ინფორმაციის სრულად და დროულად მიწოდების უზრუნველყოფა;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული პირების შინაარსობრივი მონაწილეობის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობითა და ორჰუსის კონვენციით განსაზღვრული სტანდარტების დაცვით; მათ შორის, საზოგადოების დროული ინფორმირება, მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზე, მათთვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდება, საჯარო განხილვებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა როგორც ფიზიკურად, ასევე, ელექტრონული საშუალებებით და სხვა.
- გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით, რათა მათ შეძლონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში შინაარსობრივად ჩართვა.

ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტში გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ფართო საზოგადოების დროულად წვდომის უზრუნველყოფის, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესის საჯაროობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული პირების მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესების კუთხით შემოთავაზებულია მხოლოდ სამი აქტივობა:

- საჯარო განხილვების ორგანიზება, გამართვა, მონიტორინგი და განხილვების შესახებ ცენტრის საკომუნიკაციო არხებით ინფორმაციის გავრცელება;

³⁵ დამატებითი ინფორმაცია შემოთავაზებულ აქტივობათა პრაქტიკაში განხორციელების საკითხთან დაკავშირებით იხილეთ 2.4. თავის (2) პუნქტში.

- სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი კომპანიების მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- წიაღით სარგებლობის გაცემული ლიცენზიების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

საჯარო განხილვების ორგანიზება, გამართვა, მონიტორინგი და ამ პროცესის შესახებ ინფორმაციის გავრცელება სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულებაა. ამ შემთხვევაში, გაუგებარია, კონკრეტულად რა აქტივობას გულისხმობს სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტი, რათა გაუმჯობესდეს ცენტრის მიერ თავისი ვალდებულების შესრულების ხარისხი და ქვეყანაში გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებებით სათანადოდ სარგებლობის შესაძლებლობები.

ამასთანავე, გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული პირების მონაწილეობის გასაუმჯობესებლად მხოლოდ და მხოლოდ სასარგებლო წიაღისეულის სფეროში გადასადგმელი ნაბიჯების განსაზღვრა გარემოს დაცვის უფლების სათანადოდ დაცვისთვის არასაკმარისია.

გეგმით განსაზღვრული აქტივობები ან ძალიან ზოგადია, ან განკერძოებულ შემთხვევებს შეეხება, რაც ვერ იძლევა სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანის მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

შესაბამისად, ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სათანადოდ იყოს გათვალისწინებული საიას რეკომენდაციები და გეგმა არ შემოიფარგლოს მხოლოდ ზემოთ განსაზღვრული აქტივობებით.

(3) სუფთა ჰაერსა და ხარისხიან სასმელ წყალზე წვდომის მუდმივად გაუმჯობესება

ჰაერისა და წყლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, აუცილებელია, ქვეყანამ შეასრულოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით და სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მიიღოს შესაბამისი კანონმდებლობა და სათანადოდ აღასრულოს ის.

აუცილებელია ჰაერისა და წყლის ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, რისთვისაც მნიშვნელოვანია შესაბამისი მატერიალურ-ტექნოლოგიური ბაზის გაუმჯობესება. ამასთანავე, პრობლემურია შესაბამისი საჯარო ორგანოების მიერ ლიცენზირებული, ნებადართული და უკანონო საქმიანობების კონტროლი და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი მექანიზმების გამოყენება. ამიტომ, საჭიროა ამ ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება და სათანადო რესურსებით აღჭურვა.

ამასთანავე, სუფთა სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის პრობლემას, გარდა დაბინძურებისა, ხშირად გაუმართავი ან ზოგიერთ ადგილას არარსებული ინფრასტრუქტურა და სერვისები წარმოშობს.³⁶ ამ მხრივ, განსაკუთრებით პრობლემურია სოფლებში

³⁶ Ministry of Region Development and Infrastructure of Georgia, „Georgia: Water Supply and Sanitation—Vision and

არსებული მდგომარეობა.³⁷ სუფთა, უსაფრთხო, ფიზიკურად და ეკონომიკურად ხელმისაწვდომ წყალზე წვდომის უფლება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა.³⁸ კლიმატის ცვლილების კონტექსტში კი ამ კუთხით სულ უფრო მზარდი იქნება პრობლემები, ვინაიდან საფრთხე შეექმნება არსებული სუფთა წყლის რესურსს.³⁹ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საია მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ასახული უნდა იყოს შემდეგი აქტივობები:⁴⁰

- საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ქვეშ ჰაერისა და წყლის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად შესრულება - შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს შემუშავება და კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება;
- წყლის, ჰაერისა და ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესება:
 - წყლის, ჰაერისა და ნიადაგის ხარისხის მონიტორინგი;
 - ამ სფეროში უკვე არსებული რეგულაციების მკაცრი აღსრულება;
 - განახლებადი და სუფთა ენერგიის წყაროების განვითარების ხელშეწყობა;
 - სუფთა სასმელ წყალზე მარტივად წვდომის უზრუნველყოფა სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში.
- წყლისა და ჰაერის მუდმივი მონიტორინგი;
- წყლისა და ჰაერის ხარისხის შესახებ საზოგადოების დროული და პროაქტიული ინფორმირება;
- წყლისა და ჰაერის ხარისხის შესახებ ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის მარტივად და დროულად უზრუნველყოფა;
- შესაბამისი საჯარო უწყებების მიერ რეგულირებული - ნებადართული და ლიცენზირებული - საქმიანობების მუდმივი კონტროლი ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხზე ამ საქმიანობების გავლენის შესაფასებლად; დარღვევების ან უკანონო საქმიანობების გამოვლენის შემთხვევაში, მათზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება;
- მონიტორინგსა და კანონმდებლობის აღსრულებაზე პასუხისმგებელი საჯარო უწყებების შესაბამისი ადამიანური, მატერიალური და ტექნოლოგიური რესურსებით აღჭურვა;
- ჰაერისა და წყლის მონიტორინგისთვის საჭირო ტექნოლოგიების შეძენა, საჭირო ადგილებზე განთავსება და გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

Policy Statement“ (November 2021), ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/ipDGT>, ბოლო ნახვა: 14.11.2023; Euronews, “Georgians face lack of clean domestic water due to decaying infrastructure“ (27.07.2022), ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/ehBEL>, ბოლო ნახვა: 14.11.2023.

³⁷ იქვე.

³⁸ United Nations Committee on Economic, Social and Cultural Rights, General Comment No. 15 (New York: United Nations, 2002), Art. 2.

³⁹ CENN, „წყლის რესურსების მდგრადი მართვა“, 5, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/IQT19>, ბოლო ნახვა: 14.11.2023.

⁴⁰ დამატებითი ინფორმაცია შემოთავაზებულ აქტივობათა პრაქტიკაში განხორციელების საკითხთან დაკავშირებით იხილეთ 2.4. თავის (3) პუნქტში.

ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტით, სუფთა ჰაერსა და ხარისხიან სასმელ წყალზე წვდომის მუდმივად გაუმჯობესების კუთხით, განსაზღვრულია მხოლოდ ერთი აქტივობა:

- ქალაქების 24-საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფა.

სამუშაო დოკუმენტში ცარიელია ამ აქტივობის შესაბამისი ყველა დანარჩენი გრაფა, სადაც აღწერილი უნდა იყოს ინდიკატორები, შესრულების ვადა და სხვა. განსაზღვრულია მხოლოდ პასუხისმგებელი ორგანო - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

მართალია, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია ქალაქების უზრუნველყოფა 24-საათიანი წყალმომარაგებით, მაგრამ ეს აქტივობა საერთოდ არ შეესაბამება სტრატეგიის ამ ნაწილში განსაზღვრულ ამოცანას, რომელიც სუფთა ჰაერსა და ხარისხიან სასმელ წყალზე წვდომის მუდმივ გაუმჯობესებას შეეხება. ამ აქტივობაზე დაყრდნობით შეიძლება მივიჩნიოთ, რომ სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტი საერთოდ არ ითვალისწინებს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას.

შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტის გადამუშავება, რეალური აქტივობების გაწერა და მასში საიას რეკომენდაციების ასახვა.

(4) ნარჩენების მართვა ადამიანის ცხოვრებისთვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად

ნარჩენების ეფექტიანი მართვის კუთხით მნიშვნელოვანია ნარჩენების მართვის კოდექსის სათანადოდ აღსრულება. იმისთვის, რომ ქვეყანაში შემცირდეს ნარჩენებით დაბინძურება, ერთი მხრივ, აუცილებელია უკვე მოქმედი რეგულაციების სათანადოდ აღსრულება და ამ რეგულაციებთან სხვადასხვა საქმიანობის შესაბამისობის მონიტორინგი, მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვანია ქვეყანაში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება - ნარჩენების შეგროვებისთვის, დახარისხებისთვის, გადამუშავებისთვის, განთავსებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საია მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ასახული უნდა იყოს შემდეგი აქტივობები:⁴¹

- ნარჩენების მართვის სფეროში ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების სათანადოდ შესრულება, შესაბამისი კანონმდებლობის მიღება და აღსრულება;
- ნარჩენების მართვის კოდექსის დახვეწა და მისი სათანადოდ აღსრულება, მათ შორის, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სისტემის დანერგვა;
- შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოების მიერ ნარჩენებით დაბინძურების სათანადო მონიტორინგი და კანონმდებლობის აღსრულება;

⁴¹ დამატებითი ინფორმაცია შემოთავაზებულ აქტივობათა პრაქტიკაში განხორციელების საკითხთან დაკავშირებით იხილეთ 2.4. თავის (4) პუნქტში.

- ნაგავსაყრელების, მათ შორის, უკანონო ნაგავსაყრელების მონიტორინგი და კონტროლი, შესაბამისი აღსრულების მექანიზმების გამოყენება;
- ნარჩენებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება;
- ნარჩენების სათანადოდ მართვისთვის - შეგროვება, სეპარაცია, გადამუშავება, განთავსება - საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა და გაუმჯობესება;
- ცირკულარული ეკონომიკის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა;
- ნარჩენებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტში ადამიანის ცხოვრებისთვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად ნარჩენების მართვის მიმართულებით განსაზღვრულია მხოლოდ ერთი აქტივობა:

- ნარჩენების მართვის სფეროში კანონმდებლობის სრული ჰარმონიზება ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან სრული ჰარმონიზაცია და მისასაღებელია ამ მხრივ გადადგმული ყველა ნაბიჯი.

თუმცა, სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტი ამ ნაწილში ძალიან ზოგადი ხასიათისაა, ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს და არ გვთავაზობს კონკრეტულ აქტივობებს.

ადამიანებისთვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად მნიშვნელოვანია ქვეყანაში ნარჩენების მართვისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, ამ სფეროში სახელმწიფო მონიტორინგისა და კონტროლის გაუმჯობესება, ცირკულარული ეკონომიკის პოპულარიზაცია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სხვა. ქვეყანა დგას არაერთი პრაქტიკული გამოწვევის წინაშე, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობის მიღებით ვერ მოგვარდება. საჭიროა შესაბამისი აღსრულების მექანიზმების გაძლიერება და ნარჩენების მდგრადი მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნა.

შესაბამისად, აუცილებელია, რომ სამოქმედო გეგმა არ შემოიფარგლოს მხოლოდ ერთი ზოგადი აქტივობით და კონკრეტულად ასახოს არსებული საჭიროებები და პრობლემათა გადაჭრის გზები. აუცილებელია საიას მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გაზიარება და სათანადოდ გათვალისწინება.

(5) გარემოსდაცვით სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად

პრაქტიკაში ხშირად პრობლემურია გარემოს დაცვის საკითხებზე მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლებით სათანადოდ სარგებლობა. სასამართლო პროცესი დროში გაწელილია, რთულია შესაბამისი მტკიცებულებების, ინფორმაციის მოპოვება და სხვა.⁴² ამის თვალსაჩინო მაგალითია სხვადასხვა არასამთავრობო

⁴² UNDP, "Access to Environmental Justice in Georgia" (2023), 5, ხელმისაწვდომია: <https://www.undp.org/georgia/press-releases/environmental-justice>, ბოლო ნახვა: 10.11.2023.

ორგანიზაციის წარმოებაში არსებული საქმეები. მაგალითისთვის, საიამ და მწვანე ალტერნატივამ ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივების ინტერესების დასაცავად ჯერ კიდევ 2020 წლის 6 აპრილს მიმართეს სარჩელით სასამართლოს და მოითხოვეს იმ ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტზე დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცა. თუმცა, დღემდე მოსამზადებელი სხდომაც არ ჩანიშნულა.⁴³ გარემოსდაცვით საკითხებზე მართლმსაჯულება უნდა იყოს სწრაფი და ეფექტიანი, რათა თავიდან ავიცილოთ უარყოფითი გავლენა ადამიანსა და გარემოზე.⁴⁴ ამიტომ, მნიშვნელოვანია სასამართლო სისტემის გაუმჯობესება და ორჰუსის კონვენციით განსაზღვრული სტანდარტების დანერგვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საია მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ასახული უნდა იყოს შემდეგი აქტივობები:⁴⁵

- ქვეყანაში გარემოს დაცვის კუთხით არსებული გარემოსდაცვითი და ინსტიტუციური ჩარჩოს დახვეწა, შესაბამისი კანონმდებლობის მიღება;
- გარემოსდაცვით ინფორმაციაზე მარტივად და დროულად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული კვლევების წარმოებისა და მეცნიერული ცოდნის განვითარების/დაგროვების ხელშეწყობა, რათა საზოგადოებას, საჭიროების შემთხვევაში, ხელი მიუწვდებოდეს შესაბამის მტკიცებულებებზე;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა შინაარსობრივი ჩართულობის უზრუნველყოფა;
- სხვადასხვა საჯარო უწყებაში გასაჩივრების მექანიზმების გაუმჯობესება;
- სასამართლოსა და მოსამართლეთა შესაძლებლობების გაზრდა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საქმეების განსახილველად;
- გარემოსდაცვითი საქმეების სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, მოსამართლეთა გადამზადება - შესაბამისი ცოდნითა და უნარებით მათი აღჭურვა;
- გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებებისა და სხვა გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტში გარემოსდაცვით სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განსაზღვრულია სამი აქტივობა:

⁴³ საია, „საია და მწვანე ალტერნატივა ნამახვანის ჰესების კასკადზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერებას ითხოვენ“ (05.03.2021), ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/AFTZ2>, ბოლო ნახვა: 14.11.2023.

⁴⁴ საია, „გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებები“ (2021) 19-20, ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/files/2020/GetFileAttachment-13.pdf>, ბოლო ნახვა: 14.11.2023.

⁴⁵ დამატებითი ინფორმაცია შემოთავაზებულ აქტივობათა პრაქტიკაში განხორციელების საკითხთან დაკავშირებით იხილეთ 2.4. თავის (5) პუნქტში.

- გარემოსდაცვით სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის დარღვევების შესახებ ინფორმაციის მოგროვება;
- გარემოსდაცვითი დანაშაულების შესახებ მოსამართლეებისა და სასამართლოს ანალიტიკური რგოლების ცნობიერების ამაღლება;
- გარემოსდაცვითი დანაშაულების შესახებ სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

მისასალმებელია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით დარღვევების თაობაზე ინფორმაციის შეგროვება და გარემოსდაცვითი დანაშაულების შესახებ სასამართლო პრაქტიკის ანალიზიც, თუმცა, გაუგებარია, დამატებით სხვა აქტივობების გარეშე, როგორ გამოიყენებენ ამ ინფორმაციას ქვეყანაში გარემოს დაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

აქტივობები, ძირითადად, მიემართება გარემოსდაცვით დანაშაულებს, რაც აჩენს განცდას, რომ საქართველოს მთავრობა გარემოსდაცვით მართლმსაჯულებას მხოლოდ ამ სფეროსთან აკავშირებს. გარემოსდაცვითი დანაშაულებით აქტივობების შემოსაზღვრა არ არის გამართლებული. ყურადღების მიღმა რჩება არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის, ეფექტიან და დროულ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტისა თუ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ფარგლებში, როდესაც ირღვევა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსითა თუ სხვა კანონებით გათვალისწინებული ვალდებულებები, ნებართვები კანონდარღვევებით არის გაცემული, წარმოდგენილი არ არის შესაბამისი კვლევები და სხვა.

ამასთანავე, აუცილებელია მოსამართლეთა გადამზადება არა მხოლოდ გარემოსდაცვითი დანაშაულების კუთხით, არამედ სხვადასხვა გარემოსდაცვითი მიმართულებით.

შესაბამისად, აუცილებელია, სამოქმედო გეგმაში სათანადოდ აისახოს ქვეყანაში არსებული გამოწვევები და ამ პროცესში გათვალისწინებული იყოს საიას რეკომენდაციები.

(6) გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

გარემოს დაცვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროექტების აქტიური დაგეგმვა და განხორციელება. ამ კუთხით ინფორმირებულობის დონე ჯერ კიდევ დაბალია და ქვეყანა გარემოს დაცვის სფეროში პროფესიონალების ნაკლებობას განიცდის.

იმისთვის, რომ საქართველო სათანადოდ გაუმკლავდეს თანამედროვე გარემოსდაცვით გამოწვევებს, გარემოსდაცვითი განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადრეული ასაკიდან - ბალებსა და სკოლებში. ამისთვის უნდა შემუშავდეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, გადამზადდნენ მასწავლებლები და სხვა. ასევე, საჭიროა გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებული პროფესიების პოპულარიზაცია, რისთვისაც აუცილებელია სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აქტიური თანამშრომლობა. ქვეყანაში გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით

უნდა მიმდინარეობდეს უფრო აქტიური საინფორმაციო კამპანია, რისთვისაც მნიშვნელოვანია მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა სექტორს შორის. ამასთანავე, აუცილებელია ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის მეტად ჩართვა სხვადასხვა გარემოსდაცვით ღონისძიებაში, მათთან საჯარო შეხვედრების ორგანიზება და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საია მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ასახული უნდა იყოს შემდეგი აქტივობები: ⁴⁶

- გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და სოციალური მედიის გამოყენება გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად. ამ მიზნით, სხვადასხვა საინფორმაციო ბროშურისა თუ ვიდეორგოლის მომზადება;
- საჯარო შეხვედრების ორგანიზება;
- საგრანტო და სხვა წამახალისებელი პროგრამების შემუშავება, რომლებიც მიმართული იქნება გარემოსდაცვით საკითხებზე ცნობიერების ამაღლებისკენ.

ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტში გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები:

- მასწავლებელთა შესაძლებლობების განვითარება;
- პროგრამის - „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში“ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბაზო და საშუალო საფეხურისთვის შემუშავება;
- ტყის მდგრადი მართვის მნიშვნელობისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური სარგებლიანობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრები მუნიციპალიტეტებში;
- ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის წარმოება კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების მართვის მიმართულებით;
- სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნა.

დადებითად უნდა შეფასდეს ყველა ზემოთ განსაზღვრული ინიციატივა.

თუმცა, ცნობიერების ამაღლების მიმართულება უნდა ფარავდეს ძალიან ბევრ სხვა საკითხსა და გარემოსდაცვით მიმართულებას. აუცილებელია ასევე განათლების სისტემის რეფორმა, რათა უფრო თანმიმდევრულად და ყოვლისმომცველად იყოს შესაძლებელი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

⁴⁶ დამატებითი ინფორმაცია შემოთავაზებულ აქტივობათა პრაქტიკაში განხორციელების საკითხთან დაკავშირებით იხილეთ 2.4. თავის (6) პუნქტში.

2.4. გარემოს დაცვის უფლების რეალიზების სფეროში სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება

გარემოს დაცვის უფლების რეალიზების მიმართულებით სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი მოიცავს შემდეგ ამოცანებს: ა) საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და განხორციელების უზრუნველყოფა, მათ შორის, საერთაშორისო გარემოსდაცვითი ნორმებისა და სტანდარტების დანერგვა; ბ) გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ფართო საზოგადოების დროულად წვდომის უზრუნველყოფა; გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესის საჯაროობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული პირების მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესება; გ) სუფთა ჰაერსა და ხარისხიან სასმელ წყალზე წვდომის მუდმივად გაუმჯობესება; დ) ნარჩენების მართვა ადამიანის ცხოვრებისთვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად; ე) გარემოსდაცვით სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად; ვ) გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

აღსანიშნავია, რომ საიამ ამ ამოცანათა შესაფასებლად საჭირო სრულყოფილი მონაცემების მიღება ვერ შეძლო, ვინაიდან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სსიპ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ მოგვანდოეს.

მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა თითოეულ ამოცანასთან მიმართებით საიას მიერ შეთავაზებული აქტივობების პრაქტიკაში განხორციელების საკითხი. იმის გათვალისწინებით, რომ კვლევის მიმდინარეობის პერიოდში ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსია არ იყო შემუშავებული და არც მისი სამუშაო ვერსია იყო გამოქვეყნებული, საიამ განახორციელა მხოლოდ მის მიერ შეთავაზებული აქტივობების მონიტორინგი სამოქმედო გეგმაში მათი დამატებით ასახვის საჭიროების დასასაბუთებლად.

(1) საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და განხორციელების უზრუნველყოფა, მათ შორის, საერთაშორისო გარემოსდაცვითი ნორმებისა და სტანდარტების დანერგვა

საქართველოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება; პარიზის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება - საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი აქვს გარემოს დაცვის სფეროსთან მიმართებით სხვადასხვა დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში დანერგვის ვალდებულება. შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის 22 დირექტივასა და 4 რეგულაციასთან, რომელთა გარკვეული ნაწილი უკვე მიღებულია, მათ შორის, წყლის, ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების, გარემოსდაცვითი შეფასების, ტყის მდგრადი მართვის, ნარჩენების მდგრადი მართვის, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მიმართულებებით, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.⁴⁷

⁴⁷ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, „2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (NEAP) (2022), გვ. 11, ხელმისაწვდომია: <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/34047>, ბოლო ნახვა: 10.11.2023.

თუმცა, ჯერ კიდევ მისაღებია ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ღირებულებების შესაბამისი არაერთი საკანონმდებლო აქტი. ამასთანავე, დასახვეწია უკვე მიღებული კანონმდებლობა და მისი პრაქტიკაში აღსრულება. მათ შორის, მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების კუთხით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რაც არსებულ სტრატეგიაში სრულად არის უგულებელყოფილი. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმის შემუშავებას, რათა შესაბამისი საჭიროებების დადგენისა და პრევენციული ხასიათის ღონისძიებების გატარებით შესაძლებელი იყოს ადამიანის ძირითად უფლებათა ხელყოფის თავიდან აცილება და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფა. როგორც ოფიციალური წყაროებიდან ირკვევა, საადაპტაციო გეგმის მოსამზადებლად მოძიებულია შესაბამისი დაფინანსება, თუმცა ამ ეტაპამდე ის არ შემუშავებულა.⁴⁸ მისასაღებელია კლიმატის კანონზე მუშაობის დაწყებაც, რომელმაც უნდა შექმნას კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის კუთხით ერთიანი სამართლებრივი ჩარჩო და შემოიღოს სხვადასხვა ტიპის ვალდებულება კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის კუთხით.⁴⁹ ამ ეტაპზე არსებობს კლიმატის კანონის ე.წ. მწვანე და თეთრი წიგნები, რომლებიც საკონსულტაციო ხასიათისაა.⁵⁰ უზრუნველყოფილია ამ პროცესში საზოგადოების ჩართულობა, თუმცა, ჯერ არ არის ცნობილი, იქნება ეს შინაარსობრივი, ეფექტიანი თუ მხოლოდ ფორმალური ხასიათის მონაწილეობა. ამასთანავე, უმნიშვნელოვანესია ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების ინტეგრირებული ეროვნული გეგმის მიღებაც.⁵¹ ამ ეტაპზე არსებობს მისი სამუშაო დოკუმენტი, რომელიც ჯერ ოფიციალურად მიღებული არ არის. მისი შემუშავების ეტაპზე ჩართულნი იყვნენ დაინტერესებული პირები, თუმცა ჯერჯერობით გაურკვეველია, რამდენად შინაარსობრივი იყო მათი მონაწილეობა, ასახავს თუ არა საბოლოო დოკუმენტი ქვეყნის საჭიროებებს და მასში სათანადოდ არის თუ არა გათვალისწინებული ადამიანის სხვა ძირითადი უფლებები, მათ შორის, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების დაცვის აუცილებლობა.⁵²

საჯარო უწყებების ინსტიტუციური გაძლიერება, შესაბამისი ადამიანური, ფინანსური და ტექნოლოგიური რესურსებით აღჭურვა - ადამიანური, ფინანსური და ტექნოლოგიური რესურსების ნაკლებობაზე მიუთითებს 2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამის სამოქმედო გეგმა, რომელშიც სხვადასხვა ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო რესურსების ნაკლებობა რისკფაქტორადაა მიჩნეული.⁵³ ამ სამოქმედო გეგმის მიხედვით, გათვალისწინებული ღონისძიებების გასატარებლად, თავის მხრივ, აუცილებელია გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებული სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების აღჭურვა შესაბამისი რესურსებით. ამდენად, ადამიანის უფლებათა სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნის და ამოცანების მისაღწევად, რომლებსაც

⁴⁸ „საქართველოს კლიმატის კანონის მწვანე წიგნი“ (2023), 32.

⁴⁹ საქართველოს პარლამენტი, „საქართველო კლიმატის ცვლილების კანონზე მუშაობას იწყებს“ (2020), ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news/sakartvelo-klimatis-tsvlilebis-kanonze-mushaobas-itsqebts>, ბოლო ნახვა: 10.11.2023.

⁵⁰ „საქართველოს კლიმატის კანონის მწვანე წიგნი“ (2023); „საქართველოს კლიმატის კანონის თეთრი წიგნი“ (2023).

⁵¹ საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის“ დრაფტი (2022).

⁵² საია, „წლიური ანგარიში“ (22), 17.

⁵³ NEAP-ის დანართი N1 - „სამოქმედო გეგმა“ (2022), ხელმისაწვდომია: <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/53630>, ბოლო ნახვა: 10.11.2023.

მჭიდრო კავშირი აქვს სწორედ ამ პროგრამით განსაზღვრულ ქმედებებთან, უმნიშვნელოვანესია სათანადო საშუალებების გამოყოფა, ადამიანური რესურსის განვითარება, შესაბამისი ცოდნითა და უნარებით მათი აღჭურვა.

კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვა - აუცილებელია ქვეყანაში კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვა და განვითარება.⁵⁴ აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 17 მარტს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილ კანონპროექტს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (07-2/111/10; 22.12.2021), რომლითაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი სრულად გადავიდა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შემადგენლობაში და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის აღსრულების ნაწილში უფლებამოსილებები მას გადაეცა.⁵⁵ კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, ამ ინსტიტუციური ცვლილების ძირითადი მიზანი გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის ადმინისტრირების გამარტივება იყო.⁵⁶ თუმცა, შეზღუდული იყო მასში სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული პირების შინაარსობრივი მონაწილეობა. შედეგად, მათი წინააღმდეგობის მიუხედავად, უფლებამოსილებათა დელეგირება მოხდა ისეთი დაწესებულებისთვის, რომელსაც გააჩნია საკუთარი კომერციული მიზნები, რაც, თავის მხრივ, ზრდის კორუფციისა და, შესაბამისად, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებით სათანადოდ სარგებლობის ხელყოფის საფრთხეს. ამ კონტექსტში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს გარემოს ეროვნული სააგენტოს ანგარიშვალდებულებისა და საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხს. მათი საქმიანობისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, ანგარიშგებასთან ერთად, უნდა ვრცელდებოდეს პროაქტიულად. კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვა და მუდმივი დახვეწა უნდა ხდებოდეს გარემოს დაცვის სფეროში არსებულ სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებშიც. მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და გატარებული ღონისძიებების მიზანშეწონილობა და გონივრულობა.

ქვეყანაში კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვა აუცილებელია, რათა გამოირიცხოს ან შემცირდეს კორუფციული რისკები და სახელმწიფო ორგანოებმა გადაწყვეტილები გამჭვირვალედ მიიღონ.

⁵⁴ Better Regulation Task Force, “Principles of Good Governance”, ხელმისაწვდომია: <https://www.rqia.org.uk/RQIA/media/RQIA/Resources/Better-Regulation-Task-Force-Principles-of-Good-Regulation.pdf>, ბოლო ნახვა: 10.11.2023.

⁵⁵ საია, „საიას მოსაზრებები „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტზე“ (2022), ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/kpxM7>, ბოლო ნახვა: 10.11.2023.

⁵⁶ იქვე, გვ. 35, პარა 2.

(2) გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ფართო საზოგადოების დროულად წვდომის უზრუნველყოფა; გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესის საჯაროობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული პირების მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესება

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა, რომლითაც გარანტირებულია პირთა უფლება, ხელი მიუწვდებოდეთ გარემოსდაცვით ინფორმაციაზე და მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მათ შორის, სახელმწიფოს მიერ ამ უფლებათა პატივისცემისა და უზრუნველყოფის ვალდებულებებს მოიცავს საქართველოს კონსტიტუცია, ორპუსის კონვენცია, გარემოს დაცვის კოდექსი, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი და სხვა. თუმცა, პრაქტიკაში ხშირად პრობლემურია ამ უფლებებით სათანადოდ სარგებლობა. ამიტომ, აუცილებელია, რომ მუდმივად იხვეწებოდეს და ვითარდებოდეს სრულ და მომწურავ ინფორმაციაზე დროული წვდომისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადრეულ ეტაპზე საზოგადოების ჩართვის შესაძლებლობები.

გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებულ პირთა ჩართვის გასაუმჯობესებლად ქვეყანაში 2013 წლიდან მოქმედებს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, რომელიც ფუნქციონირებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფარგლებში.

გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება; გარემოს მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი და სათანადო კვლევების წარმოება - გარემოს ეროვნული სააგენტო არის ძირითადი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გარემოს მდგომარეობის მუდმივ მონიტორინგზე, შესაბამისი ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებაზე.

გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, გარემოზე დაკვირვებით მიღებული მონაცემების შეგროვება-დამუშავების კუთხით სააგენტოში მიმდინარეობს თანამედროვე საინფორმაციო სატელეკომუნიკაციო სისტემების (ICT) დანერგვა. ეს პროცესი მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა:

- ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელიდან მონაცემების მიღება, ხარისხის კონტროლი და მონაცემთა ბაზების შევსება;
- თანამედროვე პროგრამის მეშვეობით ამინდის პროგნოზირებისა და ადრეული გაფრთხილების მომზადება;
- პროგნოზებისა და მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ გაფრთხილების თანამედროვე ტექნოლოგიებით გავრცელება.⁵⁷

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არსებობს გარკვეული ტექნოლოგიური, მატერიალური და ადამიანური რესურსები და მიმდინარეობს მუშაობა მათი მეტად დახვეწისა და განვითარების კუთხით, ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გასაწევი სათანადო

⁵⁷ გარემოს ეროვნული სააგენტო, წერილი N21/9260 (26.10.2023).

საინფორმაციო, ერთიანი სისტემის შესაქმნელად, რომელიც სხვადასხვა საჯარო უწყებას სათანადო მონაცემებზე წვდომას გაუმარტივებს. NEAP-ის მიხედვით, „საზოგადოებას ამ ეტაპზე არ აქვს საშუალება, დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ამის მიზეზია ის, რომ ქვეყანაში გარემოს შესახებ არსებული ინფორმაცია გაბნეულია აღნიშნული ინფორმაციის მფლობელ/მწარმოებელ სტრუქტურებს შორის და არ არსებობს ინფორმაციის ერთ სივრცეში განთავსების მექანიზმი. ამასთანავე, ხშირ შემთხვევაში თავად ინფორმაციის ფორმატი არ არის მარტივად აღსაქმელი რიგითი მოქალაქისთვის“.⁵⁸

მნიშვნელოვანია, რომ, რაც შეიძლება სწრაფად, მოხდეს ქვეყანაში გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების სისტემის განვითარება და სრულყოფა, რათა სათანადოდ იყოს დაცული ადამიანის უფლებები.

ინფორმაციის შეგროვებისა და მიმოცვლის კუთხით საჯარო უწყებების ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესება, ერთიანი საინფორმაციო ბაზების შექმნა - ქვეყანაში მიმდინარე ხშირი რეორგანიზაციის პირობებში, ხშირად გარემოსდაცვითი ინფორმაცია დანაწევრებულია და გაფანტულია სხვადასხვა ორგანოსა და უწყებას შორის. მაგალითად, რეორგანიზაციის შედეგად, დაკარგულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გზმ პროცედურების დროს სხვადასხვა ეტაპსა და პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ამასთანავე, საჯარო უწყებები ვერ სარგებლობენ ერთიანი საინფორმაციო ბაზებით.⁵⁹

სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, არსებობდეს ერთიანი საინფორმაციო ბაზა, რათა სწრაფად და ეფექტიანად ხდებოდეს საჭირო ინფორმაციის მიღება.

საჯარო ინფორმაციის გამომთხოვნის შემთხვევაში ამ ინფორმაციის სრულად და დროულად მიწოდების უზრუნველყოფა - UNDP-ის უახლესი კვლევის მიხედვით, ზოგ შემთხვევაში დაინტერესებულ პირებს სრულად და დროულად მიეწოდებათ მოთხოვნილი ინფორმაცია, თუმცა, ზოგჯერ, მაგალითად, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის პროექტებს, საზოგადოებას მასზე ხელი არ მიუწვდება.⁶⁰

შესაბამისად, აუცილებელია, რომ გამოსწორდეს არსებული პრაქტიკა და სახელმწიფო ორგანოებმა შეასრულონ მათზე დაკისრებული ვალდებულებები.

ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება და გავრცელება - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის წერილის მიხედვით, „გარემოსდაცვითი ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის სათანადოდ სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს

⁵⁸ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, „2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეთოთხეუროვნული პროგრამა (NEAP) (2022), 28, ხელმისაწვდომია: <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/34047>, ბოლო ნახვა: 10.11.2023.

⁵⁹ იქვე, 20, 28.

⁶⁰ UNDP, „Access to Environmental Justice in Georgia“ (2023), 25, ხელმისაწვდომია: <https://www.undp.org/georgia/press-releases/environmental-justice>, ბოლო ნახვა: 10.11.2023.

გარემოსდაცვითი ინფორმაციის დროულად და ეფექტიანად გავრცელებას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით:

- გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - eiec.gov.ge;
- გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ოფიციალურ Facebook-გვერდზე;
- 6000-ზე მეტ გამომწერთან ელფოსტის საშუალებით;
- გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე - ei.gov.ge;
- ბეჭდურ მედიაში, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ყოველდღიურად გამოიცემა;
- ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საინფორმაციო დაფაზე;
- საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს არსებულ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.⁶¹

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის გარდა, ინფორმაციის პროაქტიულად გავრცელების ვალდებულება ეკისრებათ გარემოს დაცვის სფეროში არსებულ სხვა სახელმწიფო უწყებებსაც (მათ შორის, გარემოს ეროვნული სააგენტო, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და სხვ.), რომლებიც საკუთარი ვებგვერდების საშუალებით უზრუნველყოფენ სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის/თავიანთი ანგარიშების გავრცელებას, რაც დადებით პრაქტიკად უნდა შეფასდეს.

თუმცა, იმის გამო, რომ გამოწვევები არსებობს გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების კუთხით, თავს იჩენს მისი გავრცელების პრობლემებიც. ამასთანავე, სხვადასხვა პროექტთან დაკავშირებულ პროცესში ხშირად იკვეთება ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ფაქტები. მაგალითად, ეს კარგად გამოჩნდა ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტის შემთხვევაში.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული პირების შინაარსობრივი მონაწილეობის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობითა და ორჰუსის კონვენციით განსაზღვრული სტანდარტების დაცვით; მათ შორის, საზოგადოების დროული ინფორმირება, მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზე, მათთვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდება, საჯარო განხილვებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა როგორც ფიზიკურად, ასევე ელექტრონული საშუალებებით და სხვა - აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა, საქართველოს კონსტიტუცია, ორჰუსის კონვენცია, გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონი, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, რომლებითაც გარანტირებულია პირის უფლება კონკრეტული პროცედურის შესაბამისად ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კანონმდებლობის აღსრულების კუთხით მნიშვნელოვანი პრობლემები გამოვლინდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში 2022 წლის 17 მარტის ცვლილების მიღების დროს. კერძოდ, ინსტიტუციური ცვლილებები სამოქალაქო საზოგადოების ეფექტი-

⁶¹ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, წერილი N01/1/2596 (09.10.2023).

ანი ჩართულობის გარეშე განხორციელდა.⁶² ანალოგიური პრობლემები გამოვლინდა ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტთან დაკავშირებით, როდესაც არ მოხდა დაინტერესებულ პირთა სათანადოდ ინფორმირება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი შინაარსობრივი ჩართვა.⁶³

შესაბამისად, საჭიროა, ისეთი მექანიზმების განვითარება, რომლებიც შესაძლებელს გახდის ამ პროცედურული უფლებებით სათანადოდ სარგებლობას.

გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა - ქვეყანაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტი, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ხელს უწყობს ახალგაზრდებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და ახალისებს გადაწყვეტილების პროცესში მათ ჩართულობას. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამგვარ პროექტებს მიეკუთვნება, მაგალითად: „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“, „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში“, „ეკოლიდერთა სკოლა“, „სატყეო სკოლა“, მწვანე ბანაკი „კლიმატის ელჩები“, „კლიმატის ახალგაზრდა მოხალისეები“ და სხვა.⁶⁴

თუმცა, აუცილებელია, შესაბამისი კვლევით დადგინდეს, რამდენად არიან ჩართულნი ახალგაზრდები გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორია მათი მონაწილეობა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც უნდა განისაზღვროს კონკრეტული ნაბიჯები ამ პროცესებში მათი ეფექტიანი და შინაარსობრივი ჩართვის უზრუნველსაყოფად.

(3) სუფთა ჰაერსა და ხარისხიან სასმელ წყალზე წვდომის მუდმივად გაუმჯობესება

წყალი

გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის მიხედვით:

„2013 წელს განახლდა მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგის ქსელი (რომელიც შეწყვეტილი იყო 1992 წლიდან), რომლის გაფართოება ყოველწლიურად მიმდინარეობს;

ქვეყანაში დაინერგა ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის თანამედროვე მეთოდოლოგია;

2013-2023 წლებში მოეწყო მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის 68 ავტომატური და ინსტრუმენტული მონიტორინგული სადგური;

მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის გეგმური სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული წყლის ხარისხობრივი პარამეტრების ნუსხა შესაბამისობაშია ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივით გათვალისწინებულ მონიტორინგულ პარამეტრებთან;

⁶² საია, „წლიური ანგარიში“ (22), 16.

⁶³ საია, „განცხადება ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტის საჯარო განხილვის კანონდარდვევებით ჩატარების შესახებ“ (2019), ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/gkpgK>, ბოლო ნახვა: 11.10.2023.

⁶⁴ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, წერილი N01/1/2596 (09.10.2023).

2021 წელს გამოიცა შემაჯამებელი ჰიდროგეოლოგიური ანგარიში „საქართველოს მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შეფასება (არსებული მდგომარეობის ანალიზი, პროგნოზი და რეკომენდაციები)“, რომელიც დეტალურად ასახავს ინფორმაციას მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მდგრადი მართვის მიზნით განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ (<https://nea.gov.ge/Ge/Departments/Geology/Bulletins>).⁶⁵

შესაბამისად, აუცილებელია ამ სამუშაოების განხორციელება.

NEAP-ის მიხედვით, აქტიურად მიმდინარეობს წყლის კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა **წყლის რესურსების მართვის შესახებ** საქართველოს კანონი.⁶⁶ ამ კანონის ქვეშ მისაღებია არაერთი საკანონმდებლო აქტი, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს წყლის შესახებ კანონმდებლობის ეფექტიანი ამოქმედება და მუშაობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ყველა სახელმწიფო ორგანომ შეასრულოს თავისი ვალდებულებები.

NEAP-ის მიხედვით, ჯერ კიდევ პრობლემაა წყლის ობიექტებში გაუწმენდავი ურბანული და სოფლის მეურნეობის ობიექტებიდან ჩამდინარე წყლების ჩაშვება, რასაც შედეგად მოჰყვება მისი დაბინძურება. მდინარეების ნაწილში ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია მთელი წლის განმავლობაში აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმას. ამასთანავე, წყალში არსებობს მძიმე ლითონებიც, რომლებიც, ძირითადად, სამთო-მოპოვებით საქმიანობასთან არის დაკავშირებული.⁶⁷

შესაბამისად, აუცილებელია გატარდეს კონკრეტული პრაქტიკული ღონისძიებები არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად. გარემოსდაცვითი საკითხების გადაჭრა ხშირად რამდენიმე სხვადასხვა სფეროს გამართულ ფუნქციონირებასთან არის დაკავშირებული, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ყველა ამ სახელმწიფო ორგანოს ეფექტიანი მუშაობა, მათ შორის, ხარისხის მონიტორინგის, საქმიანობათა კონტროლის, პირთა დროული ინფორმირებისა თუ სხვა მიმართულებებით.

ჰაერის

რაც შეეხება ატმოსფერული ჰაერის ხარისხსა და მის მონიტორინგს, NEAP-ის მიხედვით, საქართველოში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელი მოიცავს რამდენიმე სადგურს ქვეყნის ზოგიერთ დიდ ქალაქში.⁶⁸

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ის აგრძელებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის გაფართოებას ავტომატური სადგურების საშუალებით.⁶⁹ 2023 წელს დაემატება რვა ასეთი და

⁶⁵ გარემოს ეროვნული სააგენტო, წერილი N21/9260 (26.10.2023).

⁶⁶ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, „2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (NEAP) (2022), თავი 2.2. ხელმისაწვდომია: <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/34047>, ბოლო ნახვა: 10.11.2023.

⁶⁷ იქვე, 31.

⁶⁸ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, „2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (NEAP) (2022), თავი 2.4. ხელმისაწვდომია: <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/34047>, ბოლო ნახვა: 10.11.2023.

⁶⁹ გარემოს ეროვნული სააგენტო, წერილი N21/9260 (26.10.2023).

ერთი მობილური ავტომატური სადგური. ახალი სადგურების განთავსება დაგეგმილია თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავში, თელავში, ახალციხეში, ზუგდიდსა და მესტიაში. აღსანიშნავია, რომ დაინერგა ატმოსფერულ ჰაერში ტყვიის, კადმიუმის, დარიშხანის, ნიკელის და ბენზაპირენის უწყვეტი მონიტორინგი და 2022 წელს ამ ანალიზების ჩატარებაზე გარემოს ეროვნული სააგენტოს ლაბორატორიამ მიიღო ISO სტანდარტის შესაბამისი აკრედიტაცია.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასება საქართველოში 2018 წლის 1-ლი აგვისტოდან ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის N383 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი - ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ მიხედვით, რომელიც ევროკავშირის დირექტივებს შეესაბამება.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოსდაცვით გამოწვევად რჩება საქართველოს უმსხვილეს ქალაქებში, ასევე, მსხვილ სამრეწველო ზონებთან/ობიექტებთან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება. განსაკუთრებით ყურადსაღებია, ამ მხრივ, ქ. რუსთავი, სადაც ბოლო წლებში გაუმჯობესდა ჰაერის ხარისხი, თუმცა, ჯერ კიდევ პრობლემაა ჰაერის დაბინძურება ქარხნების მიერ.⁷⁰ ფაქტობრივად ყველგან, გარდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტისა, დაბინძურება გამოწვეულია, ძირითადად, უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკებით (PM10, PM2.5) და აზოტის დიოქსიდით (NO2).

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამასთანავე, შესაბამისი კონტროლი განხორციელდეს სხვადასხვა დამაბინძურებელ საქმიანობაზე.

ნიადაგი

გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ნიადაგის ხარისხობრივი მონიტორინგი (სინჯების აღება და შემდგომი ლაბორატორიული ანალიზი) ხორციელდება 60 დასახლებულ პუნქტში მთელი საქართველოს მასშტაბით.⁷¹ NEAP-ის მიხედვით, „ბუნებრივი და ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად ქვეყანაში მიმდინარეობს მიწისა და ნიადაგის დეგრადაციის პროცესები. უკანასკნელი შეფასებით, სასოფლო-სამეურნეო მიწების 35% დეგრადირებულია. მიწის დეგრადაციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ნიადაგის ეროზია, რომელიც საგრძნობლად გაიზარდა ბოლო წლებში. დაზიანებულია 1 მილიონ ჰექტარზე მეტი, საიდანაც 380 ათასი ჰექტარი სახნავ-სათეს მიწას წარმოადგენს, ხოლო საძოვრები და სათიბები 570 ათასი ჰექტარია. ბუნებრივი პროცესებიდან, რომლებიც გავლენას ახდენს მიწის რესურსების მდგომარეობაზე, მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილება, ხოლო ანთროპოგენური ზემოქმედებიდან აღსანიშნავია არამდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა, ტყის უკონტროლო გაჩეხა, საძოვრების არამდგრადი მართვა, გადაჭარბებული ძოვება, ხელოვნური ხანძრები, სამელიორაციო სისტემების მოშლა, პესტიციდებისა და ქიმიუ-

⁷⁰ „ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის (2020-2022) 2022 წლის მონიტორინგის ანგარიში“, ხელმისაწვდომია: <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/53740>, ბოლო ნახვა: 11.10.2023.

⁷¹ გარემოს ეროვნული სააგენტო, წერილი N21/9260 (26.10.2023).

რი სასუქების უკონტროლო გამოყენება, ქარსაფარი ზოლების გაჩეხა და სხვა. ასევე დიდია ნიადაგის დანაკარგები მეორადი დაჭაობების და დამლაშების, სასარგებლო წიაღისეულისა და საშენი მასალების ღია წესით მოპოვების და ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედების შედეგად.⁷²

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ეფექტიანი აღსრულება, რაც, თავის მხრივ, ასევე მოითხოვს ამ სფეროსთან დაკავშირებული სხვა მიმართულებებით (მაგალითად, კლიმატის ცვლილების კუთხით) შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებას და აღსრულებას.

ჰაერის, წყლისა და ნიადაგის მდგომარეობის შესაფასებლად მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს მათი ხარისხის მონიტორინგი, დროულად უნდა მიეწოდებოდეს შესაბამისი ინფორმაცია საზოგადოებას და ამ მიზნების მისაღწევად უნდა გამოიყოს და არსებობდეს მეტი ტექნოლოგიური, ფინანსური და ადამიანური რესურსი.

(4) ნარჩენების მართვა ადამიანის ცხოვრებისთვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად

- **ნარჩენების მართვის კოდექსის დახვეწა და მისი სათანადოდ აღსრულება, მათ შორის, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სისტემის დანერგვა**

ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მიღწევაა ნარჩენების მართვის სფეროში ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული არაერთი ვალდებულების შესრულება, მათ შორის, ნარჩენების მართვის კოდექსის მიღება და მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის შემოღება. NEAP დეტალურად ჩამოთვლის ამ სფეროში მიღებულ რეგულაციებს, რომლებიც სხვადასხვა ტიპის ნარჩენების მართვის განსხვავებულ წესებს ადგენს.⁷³ ნარჩენების ეფექტიანი მართვა გავლენას ახდენს გარემოს საერთო მდგომარეობაზე, მათ შორის, ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

- **შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოების მიერ ნარჩენებით დაბინძურების სათანადო მონიტორინგი და კანონმდებლობის აღსრულება**

მნიშვნელოვანია, რომ ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებები ეფექტიანად აღსრულდეს ეროვნულ დონეზე, რაც ნარჩენების მართვის სისტემის განვითარებას, შესაბამის მატერიალურ, ტექნოლოგიურ და ადამიანურ რესურსს მოითხოვს.

⁷² გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, „2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (NEAP) (2022), თავი 2.5. ხელმისაწვდომია: <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/34047>, ბოლო ნახვა: 10.11.2023.

⁷³ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, „2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (NEAP) (2022), თავი 2.6. ხელმისაწვდომია: <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/34047>, ბოლო ნახვა: 10.11.2023.

- **ნაგავსაყრელების, მათ შორის, უკანონო ნაგავსაყრელების მონიტორინგი და კონტროლი, შესაბამისი აღსრულების მექანიზმების გამოყენება**

NEAP-ის მიხედვით, „კვლავ პრობლემად რჩება ნარჩენებით გამოწვეული გარემოს დაბინძურება, რაც უკავშირდება მუნიციპალური ნარჩენების მართვის, ასევე სპეციფიკური ნარჩენების ნაკადების მართვის პრობლემებს. ქვეყანაში არსებული მუნიციპალური ნარჩენების ძველი, ოფიციალური ნაგავსაყრელები არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და გარემოში დამაბინძურებელი ნივთიერებების ემისიების წყაროს წარმოადგენს. გარდა ამისა, ჯერ კიდევ არსებობს სტიქიური, არაოფიციალური ნაგავსაყრელები, საიდანაც ნარჩენები გარემოში ხვდება. როგორც არსებული, ისე არაკონტროლირებადი, სტიქიური ნაგავსაყრელები ნიადაგის და წყლის პოტენციური დაბინძურების წყაროა, ხოლო ორგანული ნარჩენების დაშლის შედეგად წარმოქმნილი მეთანი უარყოფით გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილების პროცესებზე.“ ამასთანავე, სპეციფიკური ნარჩენების არასწორი მართვა, როგორიცაა, მაგალითად, გამოყენებული ზეთებისა და პლასტიკის ნარჩენების დაწვა, წარმოქმნის ტოქსიკურ აირებს, რომლებიც საფრთხის შემცველია ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, კვლავ გაგრძელდეს ნარჩენების მართვის კუთხით არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და შემუშავდეს დონისძიებები, რომლებიც აუცილებელია არსებული პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად. ამასთანავე, საჭიროა, ეფექტიანად ხორციელდებოდეს სახელმწიფო კონტროლი ნარჩენებით დაბინძურებაზე, გამოიყენებოდეს შესაბამისი ჯარიმები და აღსრულების სხვა მექანიზმები.

- **ნარჩენების სათანადოდ მართვისთვის - შეგროვება, სეპარაცია, გადამუშავება, განთავსება - საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა და გაუმჯობესება; ცირკულარული ეკონომიკის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა; ნარჩენებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება**

ნარჩენების მართვის სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება, თავისი არსით, ასევე გულისხმობს ცირკულარული ეკონომიკის პოპულარიზაციას და ნარჩენების მართვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, რაც ხორციელდება კიდევ, მაგალითად, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისა თუ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტების ფარგლებში. ამასთანავე, უკიდურესად მნიშვნელოვანია ნარჩენების სეპარაციისა და გადამუშავებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება.

(5) გარემოსდაცვით სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად

გარემოსდაცვით სფეროში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობით და ორპუნის კონვენციით. თუმცა, ამ უფლების სათანადოდ რეალიზებისთვის, აუცილებელია, გარემოს დაცვის კუთხით ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

რტებს, ევროკავშირის ღირებულებებს და საქართველოს მიერ სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. გამართული საკანონმდებლო მოწესრიგება, რომელიც უზრუნველყოფს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების დაცვას, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლებით სათანადოდ სარგებლობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

აქედან გამომდინარე, უნდა დაიხვეწოს კანონმდებლობა ზემოთ განსაზღვრული ამოცანებისა და მიზნების შესაბამისად.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, ქვეყანაში არსებობდეს შესაბამისი მეცნიერული ცოდნა და გარემოს შესახებ დაგროვებული, დამუშავებული ინფორმაცია, რათა მოხდეს მტკიცებულებებად მისი გამოყენება მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლებით სარგებლობის დროს.

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით, მნიშვნელოვანია, ქვეყანაში არსებობდეს გამართული სასამართლო სისტემა, რომელიც იქნება მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი. აუცილებელია მოსამართლეთა მგრძნობელობის გაზრდა გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ და დავის განხილვისთვის საჭირო უნარებითა და სპეციფიკური პროფესიული ცოდნით აღჭურვა.⁷⁴ ამისთვის საჭიროა მათი რეგულარული გადამზადება და ტრენინგი.

როგორც სხვადასხვა ორგანიზაციის წარმოებაში არსებული საქმეები აჩვენებს, ხშირად სასამართლო პროცესი დროში გაწელილია და ვერ უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებას, რომლებიც, უმეტესად, მყისიერ გადაწყვეტას საჭიროებს გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.⁷⁵ ეს საქმეები, ძირითადად, უკავშირდება მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ და ენერგეტიკულ პროექტებს, სადაც დიდია ეკონომიკური ინტერესი. ამას კი, შესაძლოა, ხშირად პროექტის არეალში მყოფი საზოგადოების უფლებები და გარემო ეწირებოდეს.

სასამართლოს გარდა, აუცილებელია, არსებობდეს კარგად ჩამოყალიბებული გასაჩივრების მექანიზმები სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოში, რომლებიც გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაზე არიან უფლებამოსილნი, მაგალითად, გასცემენ გარემოსდაცვით თუ მშენებლობის ნებართვებს.

(6) გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

ქვეყანაში მიმდინარეობს საინფორმაციო კამპანია გარემოსდაცვითი საკითხების თაობაზე, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. კონკრეტულად, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის წერილიდან და მათი ვებგვერდიდან ირკვევა, რომ მუშაობა მიმდინარეობს როგორც ბავშვებთან, სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან და ფართო საზოგადოებასთან, ასევე, სპეციალური სწავლება (მაგალითად,

⁷⁴ საია, „გარემოს დაცვის სისტემის სამართლებრივი რეგულირება“ (2023), ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/fzIRV>, ბოლო ნახვა: 10.11.2023; UNDP, „Access to Environmental Justice in Georgia“ (2023), 5, ხელმისაწვდომია: <https://www.undp.org/georgia/press-releases/environmental-justice>, ბოლო ნახვა: 10.11.2023.

⁷⁵ UNDP, „Access to Environmental Justice in Georgia“ (2023), 44, ხელმისაწვდომია: <https://www.undp.org/georgia/press-releases/environmental-justice>, ბოლო ნახვა: 10.11.2023.

პროფესიული მომზადების პროგრამა „გარემოსდაცვითი მმართველი“) და ტრენინგი უტარდებათ სხვადასხვა სახელმწიფო უწყების თანამშრომლებს (მაგალითად, პროფესიული გადამზადების პროგრამა „ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია“).⁷⁶ ცნობიერების ამაღლების კუთხით შემუშავებულია სხვადასხვა შინაარსის ბროშურა, ტრენინგის მოდული, სახელმძღვანელო და ელექტრონული კურსი. ასევე, არსებობს საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც განკუთვნილია სკოლის მოსწავლეებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის. დაწესებულია ე.წ. მწვანე სტიპენდიებიც.

თუმცა, ამ ეტაპამდე სრულად არ არის ინტეგრირებული გარემოსდაცვითი სასწავლო პროგრამა სკოლებსა და უნივერსიტეტებში, რაც ხელს უშლის ქვეყანას განვითარებაში ამ სფეროს სპეციალისტების არსებობის კუთხით. ამიტომ, აუცილებელია, გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები საგანმანათლებლო მიმართულებით და გატარდეს შესაბამისი რეფორმა.

ზემოთ განხილული საკითხების საფუძველზე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ გარემოს დაცვის ნაწილში მნიშვნელოვნად არის გასაუმჯობესებელი სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიით განსაზღვრული აქტივობები როგორც შინაარსობრივად, ასევე შეფასების ინდიკატორების მიმართულებით. ამასთანავე, აუცილებელია, რომ დამატებით გაიწეროს არაერთი კონკრეტული აქტივობა, რათა, ერთი მხრივ, შესაძლებელი იყოს სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების ეფექტიანად მიღწევა, მეორე მხრივ კი, დაიფაროს ის მნიშვნელოვანი მიმართულებები, რომლებიც სტრატეგიაში ჩამოყალიბებული ზოგადი ხასიათის ამოცანებით ამ ეტაპზე არ არის გათვალისწინებული.

⁷⁶ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, წერილი N01/1/2596 (09.10.2023).

V. დასკვნა და რეკომენდაციები

ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესის შეფასების, შრომითი და გარემოსდაცვითი უფლებების მიმართულებით სტრატეგიის ამოცანებისა და მათი განხორციელების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესი არ იყო ღია და ინკლუზიური, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა დოკუმენტში ადამიანის უფლებების სფეროში არსებული პრობლემების სრულყოფილად ასახვაზე. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში არ გამოიკვეთოს მსგავსი პრობლემები და უზრუნველყოფილი იყოს გარე დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური მონაწილეობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საია წარმოგიდგენთ შემდეგ რეკომენდაციებს:

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ გამოაქვეყნოს ადამიანის უფლებათა მდგომარეობის სიტუაციური ანალიზის დოკუმენტი, რომელიც საფუძვლად დაედო ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტს;
- უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტის გადახედვა და იმ საკითხებისა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებების გათვალისწინება, რომლებიც არ არის მასში ასახული;
- უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა, სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის საჯარო განხილვა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წარდგენილი მოსაზრებების მაქსიმალურად გათვალისწინება;
- უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ნათელი და განჭვრეტადი აქტივობების გაწერა გაზომვადი ინდიკატორების მითითებით.

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური

- ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიაში შრომითი უფლებების მიმართულებით განსაზღვრულ ამოცანებსა და აქტივობებში გათვალისწინებული იყოს გენდერული და სოციალური ინკლუზიის პერსპექტივები;
- შრომის კანონმდებლობაზე არსებული საზედამხედველო მექანიზმების გაძლიერების მიზნით გაგრძელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესაბამის დირექტივებთან, ასევე უზრუნველყოფილი იყოს შრომითი უფლებების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილ სტანდარტებთან;

- სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურმა უზრუნველყოს იმ სფეროების იდენტიფიცირება, სადაც შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტების რაოდენობა მცირეა და ხელი შეუწყოს შესაბამისი პროგრამების შემუშავებას, ასევე კონკრეტულ სფეროებში სერტიფიცირებული სპეციალისტების რაოდენობის გაზრდას;
- შრომის უსაფრთხოების სფეროში ერთიანი სტანდარტების ჩამოყალიბების მიზნით, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებთან გამართოს თემატური სამუშაო შეხვედრები და დისკუსიები პრაქტიკაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გამოცდილების გასაზიარებლად;
- სრულად გამოიყენოს მისთვის განსაზღვრული სამტატო ერთეულები და შეარჩიოს შრომის ინსპექტორები ვაკანტურ პოზიციებზე, როგორც შრომის უსაფრთხოების, ასევე შრომით უფლებებზე ზედამხედველობის დეპარტამენტებში;
- უზრუნველყოს შრომის ინსპექტორებისთვის განსაზღვრული სამტატო ერთეულების პერმანენტული ზრდა, რათა შრომის ინსპექტორების რაოდენობა პასუხობდეს ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების ზედამხედველობის სფეროში;
- განახორციელოს სამსახურში დასაქმებული თანამშრომლების პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევა, შეიმუშაოს მათი პროფესიული განვითარების წლიური გეგმები და განაგრძოს ამ მიმართულებით არსებული საჭიროებების დაკმაყოფილება როგორც საკუთარი რესურსებით, ასევე სავაჭრო-საინჟინერო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით;
- უზრუნველყოს სამსახურის კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების სრულყოფილად შესრულება და ეფექტიანი იმპლემენტაცია;
- შრომის უსაფრთხოებასა და შრომითი უფლებების თაობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, განაგრძოს აქტიური საინფორმაციო კამპანია. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობასა და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებზე, როგორებიც არიან: ეროვნული და სექსუალური უმცირესობები, ქალები, ბავშვები, ხანდაზმულები, არაფორმალურ სექტორში დასაქმებული პირები;
- შეაფასოს შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების ზედამხედველობის მიმართულებით მოწყვლადი სფეროები, ხელი შეუწყოს ამ სფეროებში განსახორციელებელი გეგმური ინსპექტირებების რაოდენობის გაზრდას და უზრუნველყოს დასაქმებული პირების ცნობიერების ამაღლება შრომის ინსპექციის სამსახურში ინდივიდუალური საჩივრების წარდგენის თაობაზე.

საქართველოს პარლამენტი

- საქართველოს პარლამენტმა უზრუნველყოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის სამართალთან; კონკრეტულად, უზრუნველყოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და ეროვნულ დონეზე შესაბამისი ღირექტივებისა და რეგულაციების დროული დანერგვა.

საქართველოს მთავრობა

- საქართველოს მთავრობამ მიიღოს ყველა ზომა, რათა უზრუნველყოს გარემოს დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება პრაქტიკაში, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს კანონმდებლობის აღსრულების მექანიზმების გაუმჯობესებას, გარემოს მდგომარეობის მუდმივ მონიტორინგს, სხვადასხვა საქმიანობის ეფექტიან კონტროლს, შესაბამისი აღსრულების მექანიზმების გამოყენებას და სხვა;
- მიიღოს ზომები, რათა შესრულდეს NEAP-ით განსაზღვრული ყველა ღონისძიება;
- გადადგას ნაბიჯები, რათა შესრულდეს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციითა და პარიზის შეთანხმებით ნაკისრი ყველა ვალდებულება - განახლებული ეროვნულად განსაზღვრული წვლილის შესაბამისად;
- მიიღოს ყველა ზომა, რათა აღმასრულებელი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფილი იყვნენ თავიანთი უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო შესაბამისი მატერიალური, ტექნოლოგიური, ადამიანური რესურსით;
- უზრუნველყოს, რომ აღამიანებს შეეძლოთ თავიანთი გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებებით სათანადოდ სარგებლობა;
- გადადგას შესაბამისი ნაბიჯები გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღოს ყველა ზომა, რათა მოსამართლეები აღჭურვილი იყვნენ გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებული დავების განხილვისთვის საჭირო შესაბამისი უნარებითა და სპეციალიზებული ცოდნით.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის თაობაზე)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. განხორციელდა თუ არა ადამიანის უფლებების მდგომარეობის სიტუაციური ანალიზი, რომელსაც დაეფუძნა 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტი? გთხოვთ, მოგვაწოდოთ სიტუაციური ანალიზის დოკუმენტი.
2. რომელი ეროვნული და საერთაშორისო კვლევები და ანალიტიკური დოკუმენტები იყო გამოყენებული 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრისა და შემუშავების პროცესში? გთხოვთ, მოგვაწოდოთ აღნიშნული დოკუმენტების ჩამონათვალი და შესაბამისი დოკუმენტები.
3. რამდენად იყო გათვალისწინებული გენდერული და სოციალური ინკლუზიის პერსპექტივა 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირებისას? გთხოვთ, მოგვაწოდოთ ამ მიზნით მომზადებული გენდერული შეფასების და ანალიზის დოკუმენტი, სოციალური ინკლუზიის საჭიროების შეფასებისა და ანალიზის დოკუმენტი.
4. რომელი სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები იყვნენ ჩართული 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესში? გთხოვთ, მოგვაწოდოთ სახელმწიფო უწყებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩამონათვალი და მათ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები.
5. რამდენი თემატური სამუშაო ჯგუფი იყო შექმნილი 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესში? გთხოვთ, მოგვაწოდოთ თემატური სამუშაო ჯგუფების სფეროები და მონაწილე პირთა სია.
6. რამდენი საჯარო კონსულტაცია ჩატარდა გარე დაინტერესებულ მხარეებთან 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის მომზადების პროცესში? გთხოვთ, მოგვაწოდოთ საჯარო კონსულტაციებში მონაწილე გარე დაინტერესებული მხარეების ჩამონათვალი და მათი საქმიანობის სფერო ადამიანის უფლებების მიმართულებით.
7. რამდენმა გარე დაინტერესებულმა მხარემ მოგაწოდათ შემოთავაზებები და რეკომენდაციები 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის მომზადების პროცესში? გთხოვთ, მოგვაწოდოთ გარე დაინტერესებული მხარეების ჩამონათვალი და მათ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების დოკუმენტები.

8. გარე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი შემოთავაზებებიდან, რამდენი რეკომენდაცია იყო გათვალისწინებული და ასახული 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტში? გთხოვთ, მოგვაწოდოთ გათვალისწინებული რეკომენდაციების ჩამონათვალი.
9. რამდენად შეესაბამება, 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს? გთხოვთ, მიგვითითოთ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი კონკრეტული ვალდებულებები და სტრატეგიის შესაბამისი მიზნები/ამოცანები.
10. რამდენად შეესაბამება, 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს? გთხოვთ, მიგვითითოთ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფარგლებში ნაკისრი კონკრეტული ვალდებულებები და სტრატეგიის შესაბამისი მიზნები/ამოცანები.
11. რამდენად შეესაბამება, 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები გაეროს საერთაშორისო მექანიზმების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს? გთხოვთ, მიგვითითოთ გაეროს საერთაშორისო მექანიზმების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების ფარგლებში ნაკისრი კონკრეტული ვალდებულებები და სტრატეგიის შესაბამისი მიზნები/ამოცანები.
12. რამდენად შეესაბამება/ეხმიანება 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანოების მიერ საქართველოს მიმართ გაცემულ რეკომენდაციებს/დაკისრებულ ვალდებულებებს? გთხოვთ, მიგვითითოთ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანოების მიერ საქართველოს მიმართ გაცემული რეკომენდაციები/დაკისრებული ვალდებულებები და სტრატეგიის შესაბამისი მიზნები/ამოცანები.
13. რა ეტაპზეა 2022-2030 წწ ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავება? გთხოვთ, გაგვიზიაროთ სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტი.
14. როდისთვის იგეგმება 2022-2030 წწ ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის დამტკიცება?

გთხოვთ, მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: ntsukhishvili@gyla.ge.

პატივისცემით,

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებათა დაცვის პროგრამის დირექტორი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის თაობაზე)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესა-
ბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. რა სახის სამართლებრივი აქტები და სახელმძღვანელო დოკუმენტები არის შე-
მუშავებული შრომითი მედიაციის სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის?
2. რა სახის ინსტიტუციური ცვლილებები არის განხორციელებული შრომითი მედი-
აციის სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის?
3. როგორ არჩევს სამინისტრო მედიატორებს და რამდენი შრომის მედიატორი ჰყა-
ვს სამინისტროს ბაზაში რეგისტრირებული?
4. როგორ გამოითვლება და რამდენია საშუალოდ შრომის მედიატორის ანაზღა-
ურების ოდენობა? გთხოვთ, მოგვაწოდოთ ამ საკითხის მომწესრიგებელი სამა-
რთლებრივი აქტი, არსებობის შემთხვევაში.
5. რამდენ შრომით მედიაციაში მიიღო მონაწილეობა სამინისტრომ 2020 წლიდან
დღემდე და რამდენი მათგანი დასრულდა შეთანხმებით? გთხოვთ, მოგვაწო-
დოთ სამინისტროს მიერ შრომით მედიაციაში მონაწილეობის შემთხვევების ჩა-
მონათვალი, მათ შორის მოდავე მხარეები და დავის თემატიკა.
6. რა ღონისძიებებს ატარებს სამინისტრო შრომის მედიატორების პროფესიული
განვითარების მიზნით? გთხოვთ, მოგვაწოდოთ სამინისტროს მიერ ჩატარებული
პროფესიული განვითარების ტრენინგებისა და გადამზადებული მედიატორების
რაოდენობა, ასევე ტრენინგების თემატიკა 2020 წლიდან დღემდე;
7. რამდენი სამუშაო შეხვედრა ან/და საჯარო დისკუსია ჩაატარა სამინისტრომ შრო-
მის მედიატორებთან 2020 წლიდან დღემდე? გთხოვთ, მოგვაწოდოთ ჩატარებუ-
ლი შეხვედრების თემატიკის ჩამონათვალი.

გთხოვთ, მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე:
ntsukhishvili@gyla.ge.

პატივისცემით,

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებათა დაცვის პროგრამის დირექტორი

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის თაობაზე)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. რა სახის სამართლებრივი აქტები და სახელმძღვანელო დოკუმენტები შემუშავდა კერძო და საჯარო სექტორში სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების გასაძლიერებლად შრომის ინსპექციის სამსახურის შექმნიდან დღემდე?
2. რა სახის სამართლებრივი აქტები და სახელმძღვანელო დოკუმენტები შემუშავდა კერძო და საჯარო სექტორში სამუშაო ადგილზე შრომითი უფლებების დაცვის მიზნით შრომის ინსპექციის სამსახურის შექმნიდან დღემდე?
3. რამდენ ორგანიზაციას აქვს მინიჭებული აკრედიტაცია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების სერტიფიცირებისთვის სწავლების განსახორციელებლად? გთხოვთ, მოგვაწოდოთ აკრედიტებული ორგანიზაციების სია.
4. რამდენი აკრედიტებული სასწავლო პროგრამა ხორციელდება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების სერტიფიცირების მიზნით? გთხოვთ, მოგვაწოდოთ აკრედიტებული სასწავლო პროგრამების სფეროების ჩამონათვალი.
5. რამდენი სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტია ამჟამად საქართველოში და რა მიმართულებებით? გთხოვთ, მოგვაწოდოთ სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების რაოდენობა სფეროების მიხედვით.
6. რამდენი სამუშაო შეხვედრა ან/და საჯარო დისკუსია ჩაატარა შრომის ინსპექციის სამსახურმა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებთან სამსახურის შექმნიდან დღემდე? გთხოვთ, მოგვაწოდოთ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებთან ჩატარებული შეხვედრების თემატიკის ჩამონათვალი.
7. რამდენი შრომის ინსპექტორი არის ამჟამად დასაქმებული შრომის ინსპექციის სამსახურში? გთხოვთ, მოგვაწოდოთ შრომის ინსპექტორების რაოდენობა ინსპექტირების სფეროების მიხედვით (შრომის უსაფრთხოების სფეროები, შრომითი უფლებების სფეროები);
8. რამდენი და რა სახის პროფესიული განვითარების ტრენინგები ჩატარდათ შრომის ინსპექტორებს შრომის ინსპექციის სამსახურის შექმნიდან დღემდე? რამდენი შრომის ინსპექტორმა გაიარა პროფესიული გადამზადების ტრენინგები? გთხოვთ, მოგვაწოდოთ ტრენინგების თემატიკის მიხედვით ჩაშლილი ინსპექტორების რაოდენობა;
9. რა ღონისძიებებს ახორციელებს შრომის ინსპექციის სამსახური გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით? გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენს

მიერ განხორციელებული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების თემატიკა და სტატისტიკური ინფორმაცია.

10. რამდენი გეგმური ინსპექტირების განხორციელება არის დაგეგმილი 2023 წლის განმავლობაში? გთხოვთ, მოგვაწოდოთ გეგმური ინსპექტირებების რაოდენობა სფეროების მიხედვით (შრომის უსაფრთხოების სფეროები, შრომითი უფლებები)
11. რამდენი გეგმური ინსპექტირება განხორციელდა 2023 წლის დაწყებიდან დღემდე? გთხოვთ, მოგვაწოდოთ განხორციელებული გეგმური ინსპექტირებების რაოდენობა სფეროების მიხედვით (შრომის უსაფრთხოების სფეროები, შრომითი უფლებები);
12. რამდენი არაგეგმური ინსპექტირება და რეინსპექტირება განხორციელდა 2023 წლის დაწყებიდან დღემდე? გთხოვთ, მოგვაწოდოთ განხორციელებული არაგეგმური ინსპექტირებებისა და რეინსპექტირებების რაოდენობა სფეროების მიხედვით (შრომის უსაფრთხოების სფეროები, შრომითი უფლებები).

გთხოვთ, მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: ntsukhishvili@gyla.ge.

პატივისცემით,

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებათა დაცვის პროგრამის დირექტორი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის თაობაზე)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. რა სახის სამართლებრივი აქტები შემუშავდა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების კუთხით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად?
2. რომელ დირექტივებთან მოხდა ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში?
3. რომელ დირექტივებთან ვერ მოხდა ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულ ვადებში?
4. რა სახის ინსტიტუციური ცვლილებები განხორციელდა ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების ეფექტიანი დაცვისთვის ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების დადების პერიოდიდან დღემდე?
5. რა სახის სამართლებრივი აქტები და დოკუმენტებია მიღებული კლიმატის ცვლილების კუთხით პარიზის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით კლიმატის ცვლილების მერბილებისა და ადაპტაციის მიმართულებებით?
6. რა საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებები განხორციელდა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ჰაერისა და წყლის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად შესრულებისთვის?
7. რა აქტივობები ხორციელდება ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხის მონიტორინგისა და შესაბამისი კანონმდებლობის აღსრულების გასაუმჯობესებლად?
8. არსებობს თუ არა შესაბამისი ტექნოლოგიური, ფინანსური და ადამიანური რესურსი ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხის ეფექტიანი მონიტორინგისთვის?
9. რა აქტივობები განხორციელდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულებასა და კონტროლზე პასუხისმგებელი საჯარო უწყებების ინსტიტუციური გაძლიერების, შესაბამისი ადამიანური, ფინანსური და ტექნოლოგიური რესურსებით აღჭურვის კუთხით 2023 წლის დაწყებიდან დღემდე?

10. რა აქტივობები განხორციელდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულებაზე პასუხისმგებელი საჯარო უწყებების ანგარიშვალდებულების სისტემებისა და მათი საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით?
11. რა აქტივობები ხორციელდება ორჰუსის კონვენციით განსაზღვრული გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებებით სათანადოდ სარგებლობის უზრუნველყოფისთვის? რა აქტივობები ხორციელდება გარემოსდაცვით ინფორმაციაზე მარტივად და დროულად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით? რა აქტივობები ხორციელდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა შინაარსობრივი ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით? რა აქტივობები ხორციელდება მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად?
12. არსებობს თუ არა სტატისტიკა და შესაბამისი კვლევა, თუ როგორია საზოგადოების ჩართულობა ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში?
13. რა აქტივობები განხორციელდა გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და ერთიანი საინფორმაციო ბაზების შემუშავებისა და გაუმჯობესების მიზნით?
14. რა აქტივობები განხორციელდა, რათა გაუმჯობესდეს სხვადასხვა სექტორის შორის თანამშრომლობა გარემოს დაცვის სფეროში შესაბამისი კვლევების წარმოების, გარემოს მდგომარეობის შეფასებისა და რეგულარული მონიტორინგის კუთხით?
15. არსებობს თუ არა სტატისტიკა, რამდენი საჯარო ინფორმაცია იქნა გამოთხოვილი 2023 წლის დასაწყისიდან დღემდე და როგორია ამ ინფორმაციის გაცემის სტატისტიკა დათქმულ ვადებში?
16. რა აქტივობები განხორციელდა გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით 2023 წლის დასაწყისიდან დღემდე?
17. რა აქტივობები განხორციელდა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებისა და მათი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის წასახალისებლად 2023 წლის დასაწყისიდან დღემდე?
18. რა საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებები განხორციელდა ნარჩენების ეფექტიანი მართვის კუთხით ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში?
19. რა აქტივობები ხორციელდება, რა სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები არსებობს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებების შესრულების ეფექტიანი მონიტორინგისთვის? არსებობს თუ არა შესაბამისი სტატისტიკა, თუ რამდენ პირზე ვრცელდება ეს ვალდებულება და როგორ ასრულებენ ისინი ნაკისრ ვალდებულებებს?
20. რა პოლიტიკის დოკუმენტები, სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები შემუშავდა ნარჩენების ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად?

21. რა აქტივობები ხორციელდება ნარჩენების ეფექტიანი მართვისთვის - შეგროვება, სეპარაცია, გადამუშავება, განთავსება - აუცილებელი ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით?
22. არსებობს თუ არა სტატისტიკა, შესაბამისი მონაცემები და კვლევები, თუ როგორ გაუმჯობესდა ნარჩენების მართვის კუთხით არსებული მდგომარეობა ნარჩენების მართვის კოდექსის მიღებიდან დღემდე?
23. არსებობს თუ არა სტატისტიკა რამდენ დასახლებულ პუნქტს არ მიუწვდება ხელი სუფთა სასმელ წყალზე?
24. რა აქტივობები ხორციელდება ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, რათა ყველა პირს მიუწვდებოდეს ხელი სუფთა სასმელ წყალზე?
25. რა აქტივობები ხორციელდება ბუნებრივი კატასტროფების რისკების იდენტიფიცირებისთვის?
26. არსებობს თუ არა რისკებისა და საფრთხეების მიხედვით შედგენილი რუკები და რა აქტივობები ხორციელდება მათ შესაქმნელად?
27. ფუნქციონირებს თუ არა ამ ეტაპზე ადრეული გაფრთხილების სისტემები ქვეყანაში და სად?
28. რა აქტივობები ხორციელდება, რათა დაინერგოს ადრეული გაფრთხილების სისტემები და დაცულნი იყვნენ პირები ბუნებრივი კატასტროფებისაგან?
29. რა აქტივობები ხორციელდება, რათა ხელი შეეწყოს განახლებადი და სუფთა ენერგიის წყაროების განვითარებას?
30. რა აქტივობები ხორციელდება ცირკულარული ეკონომიკის პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის მიზნით?

გთხოვთ, მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: aberidze@gyla.ge.

პატივისცემით,

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებათა დაცვის პროგრამის დირექტორი

შემსრულებელი: ანა ბერიძე

საკონტაქტო ინფორმაცია: 598577888

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის თაობაზე)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. რა აქტივობები ხორციელდება გარემოსდაცვით ინფორმაციაზე მარტივად და დროულად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით?
2. რა აქტივობები ხორციელდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა შინაარსობრივი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით?
3. რა აქტივობები ხორციელდება მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად?
4. რა გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო პროგრამები არსებობს ქვეყანაში და რომელ ასაკობრივ ჯგუფებზე ვრცელდება ისინი?
5. რა აქტივობები ხორციელდება, რათა გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირება მოხდეს სასკოლო პროგრამებში?
6. რა აქტივობები ხორციელდება, რათა შეიქმნას შესაბამისი სახელმძღვანელოები და საინფორმაციო მასალები?
7. რა აქტივობები ხორციელდება, რათა მოხდეს გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებული პროფესიების პოპულარიზაცია?
8. რა ტიპის საგრანტო და სხვა წამახალისებელი პროგრამები არსებობს, რომლებიც მიმართულია გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისკენ?

გთხოვთ, მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე:
aberidze@gyla.ge.

პატივისცემით,

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებათა დაცვის პროგრამის დირექტორი

შემსრულებელი: ანა ბერიძე

საკონტაქტო ინფორმაცია: 598577888

გარემოს ეროვნული სააგენტოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის თაობაზე)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. რა აქტივობები ხორციელდება და არსებობს თუ არა შესაბამისი სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები, რათა რეგულარულად მიმდინარეობდეს და გაუმჯობესდეს მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური, გეოლოგიური პროცესებისა და გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგი? მათ შორის, კონკრეტულად რა აქტივობები ხორციელდება ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხის რეგულარული მონიტორინგისთვის? არსებობს თუ არა შესაბამისი მონიტორინგის სისტემები და რა აქტივობები ხორციელდება მათ გასაუმჯობესებლად? არსებობს თუ არა შესაბამისი ტექნოლოგიური და ადამიანური რესურსი გარემოს მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგისთვის?
2. რა აქტივობები ხორციელდება მონიტორინგის გამართული სისტემების შექმნისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფისთვის?
3. რა აქტივობები ხორციელდება, რათა გაუმჯობესდეს გარემოზე დაკვირვებით მიღებული მონაცემების შეგროვება, დამუშავება, გარემოს მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება?
4. რა აქტივობები ხორციელდება, რათა გამოვლინდეს და იდენტიფიცირებული იყოს ბუნებრივი კატასტროფების რისკები სხვადასხვა ადგილას?
5. არსებობს თუ არა გამოვლენილ რისკებისა და საფრთხეების მიხედვით შექმნილი შესაბამისი ზონირების რუკები და რა აქტივობები ხორციელდება მათ შესაქმნელად?
6. არსებობს თუ არა შესაბამისი კვლევა და შეფასება, თუ როგორ გაუმჯობესდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გზმ და სგმ პროცედურების ეფექტიანობა მას შემდეგ, რაც 2022 წლის ინსტიტუციური ცვლილებით ამ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიმღები პირი გარემოს ეროვნული სააგენტო გახდა?
7. რამდენი ტრენინგი ჩატარდათ გარემოს ეროვნულ სააგენტოში დასაქმებულ პირებს ცოდნისა და პროფესიული უნარების გაღრმავების მიზნით 2023 წლის დაწყებიდან დღემდე? რა საკითხებს შეეხებოდა ტრენინგები? რამდენი დასაქმებულმა პირმა გაიარა ტრენინგები?

გთხოვთ, მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე:
aberidze@gyla.ge.

პატივისცემით,

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებათა დაცვის პროგრამის დირექტორი

შემსრულებელი: ანა ბერიძე

საკონტაქტო ინფორმაცია: 598577888

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის თაობაზე)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. რა სტრატეგიები და უწყებრივი სამოქმედო გეგმები არსებობს, რათა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ეფექტიანად ასრულებდეს სახელმწიფო კონტროლს?
2. რა აქტივობები ხორციელდება, რათა გაუმჯობესდეს კონტროლი გარემოს დაცვის სფეროში ნებადართულ და ლიცენზირებულ საქმიანობებზე და გამოვლინდეს უკანონო საქმიანობები? რა აქტივობები ხორციელდება გზდ-ს ტექნოლოგიური, ფინანსური და ადამიანური რესურსების გაუმჯობესების მიზნით?
3. რა ტრენინგები ჩაუტარდათ გზდ-ს თანამშრომლებს ცოდნის და პროფესიული უნარების გასაღრმავებლად და შესაძენად 2023 წლის დასაწყისიდან დღემდე? რა საკითხებს შეეხებოდა ტრენინგები? რამდენმა თანამშრომელმა გაიარა ტრენინგი?
4. როგორია რეგულირების ობიექტების ინსპექტირების სტატისტიკა? რამდენი გეგმური და არაგეგმური შემოწმება ჩატარდა 2023 წლის დაწყებიდან დღემდე? რა ტიპის დარღვევები გამოვლინდა? რა ტიპის პასუხისმგებლობა დადგა? რა ტიპის სავალდებულო ღონისძიებების გატარება ან რაიმე ქმედებისგან თავის შეკავება დაევალათ რეგულირების ობიექტებს?
5. რამდენი უკანონო საქმიანობა გამოვლინდა 2023 წლის დაწყებიდან დღემდე?
6. როგორია კანონდარღვევათა სტატისტიკა 2023 წლის დაწყებიდან დღემდე? მათ შორის, როგორია ნარჩენების მართვის, ატმოსფერული ჰაერის, წყლის, მიწის კანონმდებლობების დარღვევების სტატისტიკა? როგორია ნარჩენებით გარემოს დაბინძურების სტატისტიკა?
7. როგორია სამართალდამრღვევებზე დაკისრებული ჯარიმების სტატისტიკა 2023 წლის დაწყებიდან დღემდე?
8. რამდენს შეადგენს გარემოსთვის მიყენებული ზიანი 2023 წლის დაწყებიდან დღემდე?
9. რა ტიპის პრევენციული ღონისძიებები გატარდა 2023 წლის დასაწყისიდან დღემდე ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურებისგან დაცვის მიზნით?

გთხოვთ, მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე:
aberidze@gyla.ge.

პატივისცემით,

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებათა დაცვის პროგრამის დირექტორი

შემსრულებელი: ანა ბერიძე

საკონტაქტო ინფორმაცია: 598577888